პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი
21 დეკემბერი
1939 წ.
№ 292 (5692)
ფასი 10 კაპ.

# დღეს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაბადების 60 წლისთავია

## მხურვალე ბოლშევიკური სალამი მშობლიურ სტალინს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინისათვის სოციალისტური შრომის გმირის სახელწოდების მიკუთვნების შესახებ

**ბოლშევიკური პარტიის ორგანიზაციის, საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის, სსრ კავშირში სოციალისტური საზოგადოების აშენებისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის მიეკუთვნოს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს, მისი დაბადების სამოცი წლისთავზე, სოციალისტური შრომის გმირის სახელწოდება და გადაეცეს სსრ კავშირის უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი
1939 წ. 20 დეკემბერი.

## ლენინის საქმის დიდ განმგრძობს— ამხანაგ სტალინს

ძვირფასო მეგობარო და მებრძოლო ამხანაგო!

ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტი შენი სამოცი წლისთავის დღეს მხურვალედ მოგესალმება შენ, ლენინის მეგობარსა და მისი საქმის დიდ განმგრძობს, პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბელადს.

ორმოც წელზე მეტია, რაც შენ ემსახურები პროლეტარული რევოლუციის საქმეს, მუშათა კლასისა და მთელი მშრომელი ხალხის საქმეს. შენ იყავი ლენინის უერთგულესი თანამოსაგრე მის ბრძოლაში პარტიისათვის, პროლეტარიატის დიქტატურისათვის. ლენინთან ერთად მრავალი წლის განმავლობაში შენ აშენებდი და სჭედდი მძლავრ ბოლშევიკურ პარტიას. ლენინთან ერთად შენ მიგყავდა პარტია და მუშათა კლასი შეიარაღებული აჯანყების მოსახდენად 1917 წლის ოქტომბერში. როგორც ლენინის უახლოესი თანაშემწე, შენ უშუალოდ ხელმძღვანელობდი ოქტომბრის აჯანყებისათვის მზადების მთელ საქმესა და მუშათა კლასის მიერ ძალაუფლების წარმატებით დაპყრობის საქმეს.

სამშობლოს დასაცავად წარმოებული სამოქალაქო ომის წლებში უცხოელი დამპყრობელებისა და ბურჟუაზიულ-მემამულური თეთრგვარდიელების წინაალმდეგ შენ, ამხანაგო სტალინ, ლენინის ხელმძღვანელობით იყავი უშუალო სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი წითელი არმიის გამარჯვებებისა ყველა ფრონტზე, სადაც სწყდებოდა რევოლუციის ბედი.

ლენინის სიკვდილის შემდეგ ბოლშევიკების პარტიამ შენი ბრძნული ხელმძღვანელობით, გადალახა რა უდიდესი სიძნელეები თავის გზაზე, ჩვენი ქვეყანა სოციალიზმის გამარჯვებამდე მიიყვანა.

ხალხის საზიზღარ მტრებს ტროცკისტებს, ზინოვიეველებს, ბუხარინელებს სურდათ წაერთმიათ მუშათა კლასისათვის, საბჭოთა ხალხისათვის რწმენა სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობისა ჩვენს ქვეყანაში, ისინი არაერთგზის შეეცადნენ შიგნიდან გამოეთხარათ ძირი პარტიისათვის, დაერღვიათ ბოლშევიკური პარტიის ერთიანობა, დაეღუპათ საბჭოთა ხელისუფლება და სოციალისტური რევოლუცია. სოციალიზმის მტრებთან, პარტიის მტრებთან მედგარ პრინციპულ ბრძოლაში, შენი ხელმძღვანელობით ლენინიზმისათვის ბრძოლაში დაირაზმა ცენტრალური კომიტეტი და მთელი ჩვენი პარტია. შენ დაიცავი ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის ლენინური თეორია, შემდგომ განავითარე ეს დიადი თეორია, მით შეაიარაღე პარტია და საბჭოთა კავშირის მშრომელთა მილიონიანი მასები — ამან უზრუნველჰყო რევოლუციის მტრების მხილება და განადგურება.

შენი ხელმძღვანელობით ბოლშევიკების პარტიამ განახორციელა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, შეჰქმნა ახალი ინდუსტრიული კერები და რაიონები, მძიმე და მსუბუქი ინდუსტრიის პირველხარისხოვანი ქარხნები, მანქანათმშენებლობის მძლავრი ქარხნები, რამაც უზრუნველჰყო მთელი სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქცია და სსრ კავშირის შეიარაღება თავდაცვის უახლესი საშუალებებით. შენი ხელმძღვანელობით პარტიამ მოახდინა ისეთი უდიდესი რევოლუციური გადატრიალება სოფლად, როგორიც არის მთლიანი კოლექტივიზაცია და კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაცია, უზრუნველჰყო რა საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების საფუძველზე მრავალმილიონიანი გლეხობის კულტურული და შეძლებული ცხოვრება. ჩვენი ქვეყანა გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ, მსხვილი კოლექტიური მიწათმოქმედების ქვეყნად, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნად.

ამ წარმატებათა საფუძველზე სწრაფად ვითარდება საბჭოთა კავშირის ხალხთა კულტურა. შექმნილია საბჭოთა ინტელიგენცია, ერთგული საბჭოთა ხელისუფლებისა, სოციალიზმის საქმისა.

პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ შენი ხელმძღვანელობით შეჰქმნეს პირველხარისხოვანი ტექნიკით შეიარაღებული მძლავრი და უძლეველი წითელი არმია, რომელიც საიმედოდ იცავს ჩვენს სამშობლოს ყველა გარეშე მტრისაგან.

მუშათა კლასმა გლეხობასთან კავშირში, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, სამუდამოდ მოსპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია და სსრ კავშირში დაამყარა ახალი, სოციალისტური წყობილება, რომლისთვისაც უცხოა კრიზისები, უმუშევრობა და რომელიც უზრუნველჰყოფს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუხრელ აღმავლობას. ჩვენი ბრძოლის ამ მთავარ შედეგს მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს, იგი მთელი მსოფლიოს მშრომელებში ანმტკიცებს სოციალიზმის გამარჯვების რწმენას.

ჩვენმა პარტიამ შენი განსაკუთრებულად აქტიური და უშუალო ხელმძღვანელობით შეჰქმნა მძლავრი მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფო, განამტკიცა სსრ კავშირის ხალხთა დიადი და ურღვევი მეგობრობა — მათი აყვავებისა და უძლეველობის საწინდარი. სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციას, გამარჯვებული სოციალიზმისა და გაშლილი სოციალისტური დემოკრატიის კონსტიტუციას ხალხმა სამართლიანად უწოდა სტალინური კონსტიტუცია.

ისევე როგორც ლენინი, შენ, ამხანაგო სტალინ, მუდამ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდი და ანიჭებ რევოლუციური თეორიის განვითარებასა და პროპაგანდას. შენი კლასიკური თეორიული ნაშრომები, რომლებიც ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს მილიონობით ადამიანთა კუთვნილება გახდა, წარმოადგენს მარქსიზმ-ლენინიზმის შემდგომ განვითარებას იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის, დედამიწის მეექვსედ ნაწილში სოციალიზმის გამარჯვების ეპოქის ახალ პირობებში. შენ განავითარე სახელმწიფოს მარქსისტულ-ლენინური თეორია, შეიმუშავე მოძღვრება კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში მყოფი სოციალისტური სახელმწიფოს შესახებ. აიარაღებდი რა პარტიას მარქსიზმ-ლენინიზმით, შენ დაულალავად რაზმავდი მას ორგანიზაციულად. ამ საფუძველზე განხორციელებულია ჩვენი პარტიის სტალინური ერთიანობა.

შენი მზრუნველობისა და ხელმძღვანელობის მეოხებით ბოლშევიკური პარტიის მიერ მიღწეულ ერთერთ შესანიშნავ წარმატებას წარმოადგენს კადრების სწრაფი ზრდა, სოციალისტური მშენებლობისა და სოციალიზმის ქვეყნის თავდაცვის ათასობით ახალ მუშაკთა დაწინაურება.

მთელ ძალას ანდომებ რა ხალხის დიად სამსახურს, — შენ, ამხანაგო სტალინ, ისევე როგორც ლენინს, გიყვარს შენი ხალხი და განუყრელი ხარ ხალხისაგან. ისევე როგორც ლენინი, შენ გარემოცული ხარ საბჭოთა კავშირისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა მხურვალე სიყვარულით.

დღეს ჩვენი პარტია და საბჭოთა კავშირის ხალხები, მოგესალმებიან რა შენი დაბადების სამოცი წლისთავზე, ისე არიან დარაზმული თავისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო ლენინ-სტალინის დროშით, როგორც არასოდეს არ ყოფილან, და მზად არიან შემდეგშიც იბრძოლონ კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის.

გაუმარჯოს ბოლშევიკთა უძლეველ პარტიას, ლენინ-სტალინის პარტიას!

იცოცხლე მრავალ წელს, ჩვენო მშობლიურო სტალინ, პარტიის, მუშათა კლასის, საბჭოთა მიწა-წყლისა და მთელი მსოფლიოს ხალხების სასიხარულოდ!

**საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი**

1939 წლის 20 დეკემბერი.



მხატვარ ი. ვეფხვაძის ნახატი, შესრულებული სპეციალურად გაზ. „კომუნისტისათვის".

მოსკოვი, კრემლი

## ამხანაგ სტალინს

ძვირფასო მშობლიურო იოსებ ბესარიონის-ძევ!

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი თქვენი დაბადების სამოცი წლისთავის დღეს მგზნებარე სალამს გიძღვნით თქვენ, მარქს-ენგელს-ლენინის საქმის გენიალურ განმგრძობს, საკ. კ. პ. (ბ), კომინტერნისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადს.

ორმოცზე მეტი წლის წინათ თქვენ საფუძველი ჩაუყარეთ საქართველოს და კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს. რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე თქვენ ლენინის დროშის ქვეშ თავს უყრიდით პროლეტარული რევოლუციის ძალებს და იერიშზე მიგყავდათ ისინი ცარიზმის წინაალმდეგ.

თქვენ ლენინთან ხელიხელჩაკიდებულმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე მიიყვანეთ ჩვენი ქვეყნის ხალხები.

თქვენ, ამხანაგო სტალინ, განაგრძობთ რა ლენინის საქმეს და ავითარებთ მარქსიზმ - ლენინიზმის რევოლუციურ მეცნიერებას, სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი ხართ სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებებისა.

თქვენი ცხოვრების მთელი ისტორია ბოლშევიკების პარტიის ბრძოლისა და გამარჯვებათა ისტორიაა.

თქვენი სახელი არის საბრძოლო დროშა, რომლითაც მტკიცედ და იმედიანად მიდიან კომუნიზმის ბრწყინვალე მწვერვალებისაკენ საბჭოების დიადი ქვეყნის ხალხები.

იმ სასიხარულო ღირსშესანიშნავ დღეს, როდესაც პარტია, სსრ კავშირის ხალხები, მთელი მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა თქვენი დაბადების სამოცი წლისთავს აღნიშნავენ, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი სიტყვას გაძლევთ, რომ დიდი სტალინის სამშობლოს ბოლშევიკები მუდამ იქნებიან იმ მებრძოლთა პირველ რიგებში, რომელნიც იბრძვიან თქვენი ყოველი დავალების შესრულებისათვის, ლენინ-სტალინის მსოფლიო - ისტორიული საქმის გამარჯვებისათვის.

მთელი ქართველი ხალხი, დიდი და პატარა, როგორც გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის ყველა ხალხებიც ჩვენო მშობლიურო სტალინ, თქვენი დაბადების სამოცი წლისთავის დღეს მხურვალე სიყვარულის, მადლობისა და უსაზღვრო ერთგულების გრძნობით მოგმართავთ თქვენ.

სოციალისტური საქართველოს მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია გისურვებენ თქვენ, ძვირფასო მეგობარო და მასწავლებელო, ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს მთელი მსოფლიოს მშრომელთა სასიხარულოდ, კომუნიზმის მტერთა თავზარდასაცემად.

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას და მის საბრძოლო შტაბს—საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს სოციალიზმის ქვეყნის გენიალურ მესაჭეს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბრძენ ბელადს ჩვენს მშობლიურ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს!

**საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.**

## მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადს, მასწავლებელსა და მეგობარს

შენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადს, ბრძენ მასწავლებელს, უსაზღვროდ საყვარელ მეგობარს, კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი შენი დაბადების სამოცი წლისთავზე მგზნებარე ბოლშევიკურ სალამს გიძღვნის.

შენი სახელოვანი გმირული გზა უშიშარი რევოლუციონერისა, სოციალისტური რევოლუციის უდიდესი თეორეტიკოსისა და ბელადისა არის და მუდამ იქნება შესანიშნავი მაგალითი ყველა ქვეყნის პროლეტარული რევოლუციონერებისათვის.

ამიერკავკასიის პატარა არალეგალური წრეებით დაწყებული, საპყრობილეებსა და გადასახლებაში, რევოლუციისა და სამოქალაქო ომის მშფოთვარე წლებში, ნგრევასთან ბრძოლის მძიმე წლებში, შენ მაღლა გამოატარე მარქს-ენგელს-ლენინის დიადი დროშა და ამ დროშით მიიყვანე მუშათა კლასი სოციალიზმის გამარჯვებამდე დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილში.

ლენინთან ერთად, ბოლშევიკური პარტიის სათავეში მდგომმა, შენ მიიყვანე რუსეთის მუშათა კლასი დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე, რევოლუციისა, რომელმაც ისტორიაში პირველად გადააქცია ექსპლუატირებულნი და ჩაგრულნი თავიანთი ბედის სრულუფლებიან პატრონებად, ახალი, სოციალისტური საზოგადოების შემქმნელებად.

საბჭოთა ქვეყნის მუშათა კლასის ეს გამარჯვება ანმტკიცებს მთელი მსოფლიოს მუშების რწმენას თავიანთი ძალებისადმი, ნათელი იმედებით აღაფრთოვანებს მათ, ყველა მშრომელს აღაგზნებს მათი ექსპლუატატორების წინაალმდეგ საბრძოლველად. ლენინის ხელმძღვანელობით და შენი ხელმძღვანელობით, ამხანაგო სტალინ, საბჭოთა ქვეყანა გადაიქცა მთელი მსოფლიოს მუშათა, გლეხთა და დამონებულ ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრ, ურყევ ბურჯად.

დედამიწის ზურგზე არ ყოფილა და არც არის არცერთი ისეთი კუთხე, სადაც ჩაგრულებსა და ბედკრულებს, რომელნიც წელში სწორდებიან და თავიანთი მჩაგვრელების წინაალმდეგ მხედრდებიან, თავიანთ დროშებზე არ აღებეჭდოთ ლენინის სახელი, სტალინის სახელი!

ლენინთან ერთად შენ, ამხანაგო სტალინ, არწევდი ბრძოლებში შობილი კომუნისტური ინტერნაციონალის აკვანს.

მარქს-ენგელს-ლენინის უკვდავი მოძღვრების საფუძველზე, შენი გენიალური ნაშრომების საფუძველზე, ბოლშევიკების პარტიის უდიდესი ისტორიული გამოცდილების საფუძველზე იზრდებოდა, მტკიცდებოდა და ვითარდებოდა კომუნისტური ინტერნაციონალი.

შენ დაიცავი ბოლშევიკური პარტია და კომუნისტური ინტერნაციონალი უამრავი მტრებისაგან, რომელნიც ცდილობდნენ დაემახინჯებინათ ლენინის მოძღვრება და გადაეცდინეთ ჩვენ ლენინური გზიდან; შენ გაამდიდრე, შეავსე და განავითარე ლენინის დიადი მოძღვრება საერთაშორისო პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალ პირობებთან შეფარდებით.

ყველა ქვეყნის კომუნისტები შენგან სწავლობდნენ და სწავლობენ, ამხანაგო სტალინ, უსაზღვრო ერთგულებას მუშათა კლასის საქმისადმი, რომელსაც შენ 40 წელზე მეტი ხანია ემსახურები და რომელსაც მზად ხარ „შესწირო მთელი შენი ძალა, მთელი შენი უნარი და, თუ საჭირო გახდა, მთელი შენი სისხლი, წვეთ-წვეთობით".

კომუნისტები შენგან სწავლობდნენ და სწავლობენ, ამხანაგო

(დასასრული იხ. მე-2 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხალხთა ბელადი დიდი სტალინი

**ხ**ალხთა ბრძენ ბელადს დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა...

ალმაფრენის დიად სიმფონიად მოისმება უსაზღვრო სიხარული, როცა წარმოითქმება ეს მშობლიური სიტყვა.

მძლავრი ქარტეხილივით ამოვარდება ენტუზიაზმი, როცა გაისმის მისი სახელი.

მილიონთა გრძნობამორეული გულები ძგერენ და სიყვარულით ავსე თვალები ბრწყინავენ, როცა ახსენებენ ამ ყველაზე ძვირფას და ახლობელ სახელს.

ეს სახელია მშობლიური სტალინი!

ეს სახელია აზრის იმ გიგანტისა, რომელიც მარადიული ჩაუქრობელი შუქით გადასწვდა საუკუნეთა მიჯნებს. ეს უდრეკი ფოლადის ნებისყოფაა, რომლის წინაშე ქედს იხრის ყოველგვარი სიძნელე. ეს სტალინური ნებისყოფაა, რომელიც ძლევამოსილად ამსხვრევს ყოველგვარ წინააღმდეგობას და დაბრკოლებათა ზღუდეებს.

სტალინი მილიონების დროშაა, რომელიც წინ მიუძღვის პროგრესიულ კაცობრიობას კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე.

სტალინი ის სახელია, რომელიც ანსახიერებს გამოცდილებით ბრძენი და ბრძოლებში უშიშარი პარტიის მთელ სიძლიერეს და სიდიადეს.

დიდ ლენინთან ერთად აშენებდა ამხანაგი სტალინი ახალი ტიპის პარტიას, ბოლშევიკების დიად და უძლეველ პარტიას. დიდ ლენინთან ერთად მიჰყავდა მას პარტია და მუშათა კლასი შეიარაღებულ აჯანყებისათვის 1917 წლის ოქტომბერში. დიდ ლენინთან ერთად აშენებდა ამხანაგი სტალინი კომუნისტურ ინტერნაციონალს. დიდ ლენინთან ერთად აშენებდა იგი ჩვენს სახელოვან წითელ არმიას.

სტალინი სოციალიზმის დიად გამარჯვებათა ორგანიზატორია, ამ გამარჯვებათა სულისჩამდგმელი და მათი სიმბოლოა.

სტალინი—ეს არის ლენინი დღეს. ისეთივე უშიშარი მთის არწივი, როგორიც იყო ლენინი, ისეთივე უმაღლესი ტიპის სახელმწიფო მოღვაწე, როგორიც იყო ლენინი, ისეთივე ნათელი და გამორკვეული, ისეთივე შეუბრალებელი ხალხის მტრების მიმართ, ისეთივე ბრძენი და აუჩქარებელი, როგორიც იყო ლენინი.

სტალინი—ეს არის უდიდესი მოაზროვნე, გენია სოციალისტური რევოლუციისა, გენია კომუნიზმისა, ადამიანი, რომელშიაც კონცენტრირებულია პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლების გიგანტური გამოცდილება, ადამიანი დაჯილდოებული უდიდესი ორგანიზატორული უნარით, მარქსისტულ-ლენინური წინასწარგანჭვრეტის გენიალური ნიჭით.

სტალინის სახელთან არის დაკავშირებული ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ტრიუმფალური წინსვლა. სტალინის სახელთან არის განუყრელად დაკავშირებული მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებები, რომლებიც მოიპოვა საბჭოთა გმირმა ხალხმა და რომლებიც ოქროს ასოებით აღიბეჭდა გამარჯვებული სოციალიზმის სტალინურ კონსტიტუციაში.

დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ბოლშევიკების პარტიამ, საბჭოთა ხალხმა ბრწყინვალე გამარჯვებებით დაამთავრა ორი სტალინური ხუთწლედი. დიდი სტალინის ხელმძღვანელობით გადაჭრილია მეორე [illegible]

დიდი სტალინი.

საქართველოს ბოლშევიკები ამაყობენ იმით, რომ რევოლუციის გარიჟრაჟზე ახალგაზრდა სტალინი საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში საფუძველს უყრიდა ლენინურ-ისკრულ ორგანიზაციებს, აქ აწყობდა იგი პირველ მასობრივ პოლიტიკურ დემონსტრაციებს ცარიზმის წინააღმდეგ. აქ აყალიბებდა იგი არალეგალურ ბოლშევიკურ პრესას, რომელსაც მასებში შეჰქონდა ლენინის დიადი აზრები.

ქართველი ხალხის ეს სიამაყის გრძნობა მშვენივრად გამოხატეს ქართველმა პოეტებმა:

„ბაღებში, მინდვრად, ქარხნებში შენს მზეს ფიცულობს მშრომელი,
შენ მოგვაშორე სიავე და ღამე სულის მხშობელი,
ვამაყობთ: ჩვენი სამშობლო შენი დედაა მშობელი,
რომ „იავნანას“ გიმღერდა მტკვარი წყალდაუშრობელი“.

ჩვენს სტალინს, ჩვენს იმედს და სიამაყეს, ბრძენ ბელადს—მისი დაბადებიდან 60 წლისთავზე უგულითადეს სურვილებს უგზავნის ბედნიერი ქართველი ხალხი.

დაე იცოცხლოს და იდღეგრძელოს ჩვენმა მშობლიურმა სტალინმა მრავალჟამიერ!

---

მოსკოვი, კრემლი

# ხალხთა დიდ ბელადს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

ძვირფასო ამხანაგო კობა!

თბილისის პარტიული აქტივის საერთო-საქალაქო კრება პროფესიული, კომკავშირული, სამხედრო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად თქვენი დაბადების სამოცი წლისთავზე მგზნებარე ბოლშევიკურ სალამს გიძღვნით თქვენ, ხალხთა დიდ ბელადს, მშობლიურ მასწავლებელსა და მეგობარს.

დღეს ჩვენი თვალუწვდენი სოციალისტური სამშობლოს მილიონობით მშრომელნი, მთელი მსოფლიოს მილიონობით მშრომელნი კვლავ უდიდესი სიხარულით, სიამაყითა და ბედნიერებით მოგმართავენ მხურვალე სალამისა და მადლობის სიტყვებით.

თქვენს სახელში, მთელი მშრომელი კაცობრიობისათვის უსაზღვროდ მშობლიურ და ახლობელ სახელში განსახიერებულია ბოლშევიკების დიადი კომუნისტური პარტიის სიბრძნე და ძლევამოსილი ძალა.

ამ სახელთან არის დაკავშირებული კომუნიზმის ახლანდელი და მომავალი, კიდევ უფრო დიდი გამარჯვებანი.

ათეული წლების მანძილზე, უკვდავ ლენინთან ხელიხელჩაკიდებული აშენებდით და ამაგრებდით თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, ჩვენს პარტიას.

თქვენ ლენინთან ხელიხელჩაკიდებულს მიგყავდათ იგი მუშათა კლასის ავანგარდში თვითმპყრობელობასთან, კაპიტალიზმთან საბრძოლველად, ჩვენს ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებისაკენ, სოციალიზმის გამარჯვებისაკენ.

იმის შეგნება, რომ ჩვენ, თბილისისა და საქართველოს ბოლშევიკები, ვცხოვრობთ და ვმუშაობთ იქ, სადაც ორმოცზე მეტი წლის წინათ, რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე, დაიწყეთ თქვენი რევოლუციური ბრძოლის გზა, დიადი ცხოვრება ხალხისათვის, სიამაყის გრძნობას იწვევს ჩვენში, განუზომლად ადიდებს ჩვენს პასუხისმგებლობას ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების შესრულებისათვის.

აქ უყრიდით თქვენ საფუძველს ლენინურ-ისკრულ ორგანიზაციებს, საქართველოს და კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს, რაზმავდით რა მუშებსა და გლეხებს თვითმპყრობელობასთან საბრძოლველად.

აქ, მოღალატე მენშევიკებთან და ყველა ოპორტუნისტთან დაუზოგავ ბრძოლაში, იჭედებოდა თქვენი გენიალური ხელმძღვანელობით ლენინურ - სტალინური იდეურობის, პარტიის ყველა მტრისადმი ლენინურ-სტალინური შეურიგებლობის სახელოვანი ტრადიციები, იჭედებოდა მუშათა კლასის საქმისადმი, კომუნიზმის საქმისადმი ერთგულება.

გიგანტური გზა გაიარა მას შემდეგ ჩვენმა ქვეყანამ. იგი, ეს დიადი ისტორიული გზა, გაბრწყინებულია კომუნიზმის მზით.

და მთელს ამ გრანდიოზულ ისტორიულ გზაზე გზისმაჩვენებელი მკაფიო ვარსკვლავივით ბრწყინავს თქვენი, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, უკვდავი სახელი.

ლენინის დიდ თანამებრძოლსა და მეგობარს, თქვენ, ბოლშევიზმის მედგარ, უშიშარ მედროშეს, გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ მიგყავდათ და მიგყავთ ჩვენი სახელოვანი პარტია.

ცარიზმი თქვენ სასტიკად გდევნიდათ, საპატიმროებში გამწყვდევდათ, შორეულ მხარეებში გასახლებდათ, მაგრამ თქვენ კვლავ უბრუნდებოდით თქვენს საბრძოლო პოსტს, კვლავ უშიშრად სულ უფრო-დაუფრო მაღლა სწევდით და მტკიცედ მიგქონდათ რევოლუციური ბრძოლის დროშა.

თქვენ ლენინთან ერთად ხელმძღვანელობდით კაპიტალიზმზე ოქტომბრის იერიშის მომზადებას რუსეთში. ლენინთან ერთად მოაწყეთ დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება, თავდადებით იცავდით მის მონაპოვართ სამოქალაქო ომის ყველა ფრონტზე, გმირობით აღფრთოვანებდით წითელ არმიას, მოაწყეთ მისი გამარჯვებანი თეთრგვარდიელი გენერლებისა და ინტერვენტების ურდოებზე.

ლენინთან ერთად დააარსეთ თქვენ მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი, დაიცავით რა მარქს-ენგელს - ლენინის დროშის ბოლშევიკური სიწმინდე ყველა ოპორტუნისტის, ტროცკისტ-ბუხარინელი გამცემლების, მარქსიზმ-ლენინიზმის ყველა მტრის წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლაში.

შემდგომ ანვითარებდით და წინ სწევდით რა მარქს-ენგელს-ლენინის მოძღვრებას, თქვენ დიადი აღმოჩენებით, კლასიკური თეორიული ნაშრომებით გაამდიდრეთ მარქსისტული მეცნიერება.

თქვენი ულრმესი თეორიული ნაშრომები ნაციონალურ საკითხზე, ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესახებ, კომუნიზმის დროს კაპიტალისტურ გარემოცვაში მყოფი სახელმწიფოს შესახებ, პროლეტარიატის დიქტატურაზე, ქვეყნის სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციასა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციაზე, სოციალისტური კადრების აღზრდაზე, ხალხიდან გამოსულ სოციალისტურ ინტელიგენციაზე, საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის სტალინური სახელმძღვანელო—უკვდავი განძია მარქსიზმ-ლენინიზმის საუნჯისა.

თეორიულ საკითხებზე და კომუნიზმის პროგრამის პრაქტიკული განხორციელების შესახებ თქვენი ნაშრომებით შეიარაღებული მთელი მოწინავე კაცობრიობა მოძმე კომუნისტური პარტიების მეთაურობით იბრძვის კაპიტალის, რეაქციის ძალების წინააღმდეგ, მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის საქმის გამარჯვებისათვის.

თქვენ აფრიალეთ მსოფლიოში დიადი დროშა სტალინური კონსტიტუციისა, რომელიც მთელი მსოფლიოს მშრომელთ უჩვენებს, „რომ ის, რაც განხორციელებულია სსრ კავშირში, სავსებით შეიძლება განხორციელდეს სხვა ქვეყნებშიაც“.

სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში უზრუნველჰყო სტალინურმა ხუთწლედებმა, რომელთა შესრულების შედეგად ჩვენი ქვეყანა შევიდა თავისი განვითარების ახალ ფაზაში, უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ფაზაში.

თქვენი სიტყვით, მთელი თქვენი ჯშირული რევოლუციური ცხოვრების დიადი მაგალითით აღფრთოვანებული საბჭოთა პატრიოტები ურიცხვ შრომითს საგმირო საქმეებს სჩადიან ჩვენი სამშობლოს სასახელოდ.

ჩვენ ვიცით, რომ საჭიროა დიდი შრომა და გმირობა, დიდი გაბედულება, ინიციატივა და ენტუზიაზმი, რათა აგებულ იქნას კომუნიზმის დიდებული შენობა. ჩვენ მტკიცედ ვიცით, რომ ჩვენი ბრძოლის ამ უდიდეს მიზანსაც მივაღწევთ თქვენი ხელმძღვანელობით.

ჩვენი დიადი საქმის გიგანტური ძალაა ლენინ-სტალინის უძლეველი პარტია.

ჩვენი საქმის ბოლშევიკური სულია მშობლიური ბელადისა და მასწავლებლის—სტალინის შრომა, აზროვნება, სიტყვა.

სტალინი ჩვენი დროშაა! სტალინი კომუნიზმის გამარჯვების დროშაა!

იცოცხლეთ მრავალ და მრავალ წელს, ჩვენო მშობლიურო მასწავლებელო, მამავ, ბელადო — საყვარელო იოსებ ბესარიონის-ძე **სტალინ!** ძვირფასო ამხანაგო კობა!

იცოცხლეთ მრავალჟამიერ, სტალინური სიბრძნით, სტალინური შორსმჭვრეტელობით, სტალინური გენიით აღაფრთოვანეთ პარტია. მთელი საბჭოთა ხალხი კომუნიზმის ახალი და ახალი გამარჯვებებისათვის საბრძოლველად!

გაუმარჯოს **მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის** დიადსა და უძლეველ დროშას!

გაუმარჯოს პროლეტარული რევოლუციის გენიალურ სტრატეგს, მთელი მშრომელი კაცობრიობის იმედს, ბედნიერებასა და სიამაყეს — ჩვენს დიდს, მშობლიურ, საყვარელ იოსებ ბესარიონის-ძე **სტალინს!**

---



ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი და ვ. მ. მოლოტოვი გაზ. „პრავდის“ რედაქციაში

მხატვ. პ. ვასილევის ნახატი

# ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი თქვენი დაბადების სახელოვანი სამოცი წლისთავზე მხურვალედ მოგესალმებათ თქვენ — ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა ყველაზე საყვარელ და ყველაზე ძვირფას ადამიანს.

თქვენი სიცოცხლის ორმოც წელზე მეტი თქვენ მოახმარეთ გმირულ რევოლუციურ ბრძოლას.

დიდ ლენინთან ერთად თქვენ შეჰქმენით ბოლშევიკების მძლავრი პარტია, რომელსაც ახლა სამართლიანად ეწოდება ლენინ-სტალინის პარტია.

ლენინთან ერთად ოქტომბრის ისტორიულ დღეებში თქვენ მოაწყეთ დიადი რევოლუციური იერიში კაპიტალისტური სამყაროს წინააღმდეგ. ლენინის უახლოესი თანამოსაგრე, თქვენ იყავით ოქტომბრის აჯანყების მომზადების უშუალო ხელმძღვანელი.

ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის დასაცავად თქვენ ლენინთან ერთად აშენებდით გმირულ წითელ არმიას, თავი გამოიჩინეთ როგორც შესანიშნავმა სარდალმა და იყავით წითელი არმიის გამარჯვებათა უშუალო ორგანიზატორი ყველაზე ძნელ და გადამწყვეტ ფრონტებზე.

თქვენ დაიცავით მტრების თავდასხმებისაგან პარტიის ერთიანობა, ლენინის მოძღვრების სიწმინდე, წინ წასწიეთ ბოლშევიკური თეორია.

სწორედ ამ თქვენმა დაუღალავმა და შეუდრეკელმა ბრძოლამ ბოლშევიკური თეორიისათვის საშუალება მისცა პარტიას დაერაზმა მშრომელთა მრავალმილიონიანი მასები ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების მსოფლიო - ისტორიული ამოცანების გადასაჭრელად.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პროგრამამ, რომელიც თქვენ შეიმუშავეთ, უზრუნველჰყო ჩვენი ქვეყნის გადაქცევა ჩამორჩენილი, ჩამორჩენილი ქვეყნიდან მძლავრ, ინდუსტრიულ, მოწინავე ტექნიკით შეიარაღებულ სახელმწიფოდ.

თქვენი ხელმძღვანელობით გადაიჭრა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ამოცანები—მილიონობით წვრილ ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა მსხვილი, მექანიზებული საკოლმეურნეო მეურნეობის რელსებზე გადაყვანის ამოცანები.

სოციალისტური მშენებლობის ხუთწლედებს ხალხი სამართლიანად უწოდებს სტალინურ ხუთწლედებს და ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებას უკავშირებს თქვენს სახელს, ამ გამარჯვების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის სახელს.

თქვენ შეიმუშავეთ მოძღვრება სოციალისტური სახელმწიფოს შესახებ. თქვენი სახელი განუყრელად არის დაკავშირებული საბჭოთა სახელმწიფოს განვითარებისა და განმტკიცების ყველა უმნიშვნელოვანეს ღონისძიებასთან. თქვენ ხართ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის — გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუციის შემოქმედი.

თქვენი უშუალო მონაწილეობით და თქვენი მითითებებით ხდება ყველა საბჭოთა ორგანოს გარდაქმნა სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე, ხორცს ისხამენ გაშლილი სოციალისტური დემოკრატიზმის პრინციპები. საბჭოთა სახელმწიფო კიდევ უფრო მძლავრი იარაღი ხდება იმ ახალი ისტორიული ამოცანების გადაჭრისათვის ბრძოლაში, რომლებიც თქვენ პარტიის XVIII ყრილობაზე დასახეთ.

თქვენ განავითარეთ ნაციონალური საკითხის ლენინური თეორია და უშუალო ხელმძღვანელობას უწევდით საბჭოთა სახელმწიფოს ნაციონალური პოლიტიკის პრაქტიკულად განხორციელებას, ნაციონალური საბჭოთა რესპუბლიკების შექმნას. ლენინთან ერთად თქვენ ხართ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, მუშათა და გლეხთა მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ორგანიზატორი.

თქვენი ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა გაანადგურა მტრული ბუდეები მავნებლების, დივერსანტების, ჯაშუშებისა და მკვლელებისა ტროცკისტულ-ბუხარინული და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ბანაკიდან და გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა იმპერიალისტების ანტისაბჭოთა ზრახვებს.

გენიალური შორსმჭვრეტელობით გამოამჟღავნეთ თქვენ ომის პროვოკატორთა მაქინაციები. თქვენმა ბრძნულმა ხელმძღვანელობამ საგარეო პოლიტიკაში, გაჩაღებული მეორე მსოფლიო იმპერიალისტური ომის პირობებში, უზრუნველჰყო ჩვენი ქვეყნისათვის უდიდესი გამარჯვებანი, გაამაღლა სსრ კავშირის, როგორც სერიოზული საერთაშორისო ძალის მნიშვნელობა, განამტკიცა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, უზრუნველჰყო საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის მშვიდობიანი შრომა და სოციალისტური სახელმწიფოს შემდგომი აყვავება.

თქვენ თქვენი პიროვნებით განასახიერებთ უდიდეს სიყვარულსა და ერთგულებას თქვენი ხალხისადმი, მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმს. სსრ კავშირის თავისუფალი ხალხები თქვენში ჰხედავენ თავიანთი დიადი სამშობლოს ძალისა და ძლევამოსილების განსახიერებას.

თქვენი სახელით აღფრთოვანებული მამაცი წითელი არმია ანადგურებდა ფრონტებზე ჩვენი სამშობლოს მტრებს, პოლონელ მემამულეთა და კაპიტალისტთა ულღისაგან ანთავისუფლებდა ჩვენს ძმებს — უკრაინელებსა და ბელორუსებს, დახმარებას უწევს ფინელი ხალხის განთავისუფლებას.

ყველა მშრომელისათვის, მთელი პროგრესიული კაცობრიობისათვის თქვენი სახელი წარმოადგენს ექსპლუატაციისა და ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლის დროშას.

თქვენი სამოცი წლისთავის სახელოვანი თარიღი კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმავს მძლავრ საბჭოთა ხალხს ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, თქვენს გარშემო, მშრომელთა დიდი ბელადის, მეგობრისა და მასწავლებლის გარშემო, კიდევ უფრო უტეხს გახდის საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, აღაფრთოვანებს საბჭოთა კავშირის ხალხებს ახალი საგმირო საქმეების ჩასადენად კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, აღნიშნავს რა ამ დღეს თქვენს უდიდეს დამსახურებას სოციალისტური სამშობლოს წინაშე, მხურვალედ გისურვებთ კიდევ მრავალი და მრავალი წლის სიცოცხლეს და მუშაობას საბჭოთა კავშირის ხალხებისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ.

**საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი**

---

# თბილისის პარტიული აქტივის საზეიმო კრება

20 დეკემბერს, საღამოს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში შესდგა თბილისის პარტიული აქტივის საზეიმო კრება საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სამხედრო ნაწილებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლების მონაწილეობით.

საზეიმო კრება მიძღვნილი იყო ხალხთა მამისა და მასწავლებლის, მშრომელი კაცობრიობის ბელადის დიდი **სტალინის** დაბადების 60 წლისთავისადმი.

საღამოს 7 საათისათვის თეატრის დარბაზი აივსო თბილისის მოწინავე ადამიანებით. აიხსნა ფარდა და გამოჩნდა სადად, მაგრამ ფაქიზი გემოვნებით მორთული სცენა: სცენის სიღრმეში ამაღლებულა დიდი **სტალინის** შესანიშნავი ფიგურა „იუპიტერთა“ ჭარბი შუქით გაბრწყინებული ბელადის ფიგურას ამშვენებს 11 წითელი დროშა — სიმბოლო საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს ძლიერებისა და ხალხთა ურყევი სტალინური მეგობრობისა.

ამ შესანიშნავი მხატვრული ანსამბლის უკან სჩანს მარქს-ენგელს-ლენინის სახე. ერთ მხარეს აღმართულია თეთრი თაღი ციფრით „1879“ და ქალ. გორის სქემატური პეიზაჟით; მეორე მხარეს კი ასეთივე თაღია კრემლის ხედით. ამავე სცენაზე წითელ ტილოზე ოქროს ასოებითაა ამოქარგული:

— **გაუმარჯოს დიდ სტალინს!**

სცენაზე, პრეზიდიუმის მაგიდასთან სხედან: **კ. ჩარკვიანი, ვ. ბაქრაძე, ფ. მახარაძე, კ. შეროზია, მ. ჯაში, ი. თავაძე, ა. თოფურიძე, ს. იშხანოვი, ი. კოჭლამაზაშვილი, ა. რაფავა, ი. ტიულენევი, ა. ვაცეკი, ვ. ეგნატაშვილი, ე. ჩერქეზია, ა. კვაჭაძე, კ. ბარიგიანი, გ. ქარჩავა, დ. ჭიჭინაძე, ვ. სალაძე, ნ. გელაძე, მ. ჩუბინიძე, გ. გოჩაშვილი, ნ. გალუსტოვი, ვ. გარსევანიძე, პ. მჭედლიძე, ვ. სიხარულიძე,** აკადემიკოსები: **ი. ჯავახიშვილი,** და **ნ. მუსხელიშვილი, შ. დადიანი, მ. ჭიაურელი, ა. ხორავა,** პროფესორები: **ა. მაჭავარიანი, ნ. კეცხოველი, კ. ერისთავი** და **კ. ზავრიევი, გრ. კიკნაძე, ა. ჯორბენაძე, გ. კიკნაძე, თ. ბირკაძე, ირ. აბაშიძე, ა. მაშაშვილი, ი. მოსაშვილი, ბ. გოგუა, ა. ქურდიანი** და სხვ.

საზეიმო კრება გახსნა საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ს. იშხანოვმა.

— თბილისის პარტიული აქტივის კრებას საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სამხედრო ნაწილებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილს ამხანაგი **სტალინის** დაბადების 60 წლისთავისადმი, გახსნილად ვაცხადებ!

ამხ. ს. იშხანოვის ამ სიტყვებს დამსწრენი შეხვდნენ მხურვალე ოვაციით ამხანაგ **სტალინის** პატივსაცემად. დიდხანს არ დამცხრალა მქუხარე ტაში და „ვაშას“ ძახილი.

— სიტყვა წინადადებისათვის ეძლევა ქალაქ თბილისის სტალინის რაიკომის მდივანს ამხ. გოჩაშვილს.

— ამხანაგებო,—სთქვა ამხ. გ. გოჩაშვილმა, — წინადადება შემომაქვს ჩვენი საზეიმო კრების საპატიო პრეზიდიუმში ავირჩიოთ ხალხთა მამა და მასწავლებელი

**დიდი სტალინი!**

**სტალინის** დასახელებისას კვლავ იგრიალა ტაშმა, დარბაზში ჰქუხდა დაუცხრომელი ოვაციები დიდი ბელადის პატივსაცემად. თითქოს ზღვა ბობოქრობსო, ისე ხმაურობდა და ბობოქრობდა ხალხით გაჭედილი ვეებერთელა დარბაზი.

ამხ. გოჩაშვილმა განაგრძო საპატიო პრეზიდიუმში ბელადის თანამებრძოლთა დასახელება:

— **ამხანაგი მოლოტოვი, ვოროშილოვი, კალინინი, კაგანოვიჩი, ანდრეევი, ჟდანოვი, მიქოიანი, ხრუშჩოვი, ბერია, შვერნიკი.**

თვითეული მათგანის დასახელებისას დარბაზში გაისმოდა მქუხარე ტაში.

შემდეგ კრების თავმჯდომარემ სიტყვა მისცა საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის მდივანს ამხანაგ **კ. ნ. ჩარკვიანს.** ამხანაგ **კ. ნ. ჩარკვიანის** ღრმა და შინაარსიანი მოხსენება შეეხებოდა დიდი **სტალინის** ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

საათნახევარზე მეტხანს გაგრძელდა ამხანაგ **ჩარკვიანის მოხსენება.**

ტაშის გრიალმა, ამხანაგ **სტალინისადმი** მიმართულმა საზეიმო შეძახილებმა და ინტერნაციონალის გუგუნმა დაჰფარა მომხსენებლის — ამხანაგ ჩარკვიანის სიტყვები:

— გაუმარჯოს დიდ **სტალინს!**

— გაუმარჯოს ჩვენს ბელადს!— იმეორებდა მრავალი ხმა დარბაზის ყოველი კუთხიდან. სულ ახალი და ახალი ძალით გაისმოდა ოვაციები, ტაში და „ვაშას“ ძახილი. მთელი დარბაზი აგრიალდა და ახმაურდა, როდესაც ლენინის რაიკომის მდივანმა ამხ. მ. ჩუბინიძემ დაიწყო ბელადისადმი საზეიმო კრების სახელით გასაგზავნი მისალმების ტექსტის წაკითხვა.

თვითეული ფრაზა და თვითეული სიტყვა მისალმებისა გაჟღენთილია უსაზღვრო სიყვარულისა და მადლობის გრძნობით ხალხთა მამისა და ბელადის ამხანაგ **სტალინისადმი.**

ფეხზე ამდგარი ხალხი გაიძახოდა სოციალიზმის გამარჯვებათა სულისჩამდგმელის, მასწავლებლისა და ჩაგრული კაცობრიობის იმედის ამხანაგ **სტალინის** პატივსაცემად:

— **გაუმარჯოს ჩვენს სტალინს!**

— **დიდხანს, დიდხანს იცოცხლოს ამხანაგმა სტალინმა!**

საზეიმო კრების შემდეგ გაიმართა დიდი და მრავალფეროვანი კონცერტი.

---

# მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადს, მასწავლებელსა და მეგობარს

(დ ა ს ა ს რ უ ლ ი)

სტალინ, იმას, რომ დაუცხრომლად ანმტკიცონ კავშირი მშრომელ მასებთან; თავგამოდებით დაიცვან მათი ყოველდღიური ინტერესები და თავგანწირვით იბრძოლონ სოციალიზმის გამარჯვებისათვის მთელ მსოფლიოში.

შენგან სწავლობდნენ და სწავლობენ ისინი მაღალ ბოლშევიკურ პრინციპულობას, რომელიც კომუნიზმის საქმის ინტერესებს ყველაფერზე მაღლა აყენებს.

შენგან სწავლობდნენ და სწავლობენ ისინი უმძაფრეს სიძულვილს მუშათა კლასის ყველა მტრისადმი, ბოლშევიკურ შეურიგებლობას ბურჟუაზიის სოციალ-დემოკრატ და ყველა სხვა აგენტისადმი მუშათა მოძრაობაში.

შენგან სწავლობდნენ და სწავლობენ ისინი ბოლშევიკური სტრატეგიისა და ტაქტიკის უბადლო ოსტატობას, კლასობრივ ძალთა თანაფარდობის ფხიზლად შეფასებას, შეხამებულს გაბედულ, რევოლუციურ შემართებასთან.

შენგან სწავლობდნენ და სწავლობენ ისინი რკინისებურ სიმტკიცეს დასახული მიზნების მიღწევაში, შეუპოვრობას, რომელიც ამსხვრევს ყველა და ყოველგვარ დაბრკოლებას. სწავლობენ მოქნილობას, რომელიც აუცილებელია მიღებულ გადაწყვეტილებათა გატარების დროს.

შენგან სწავლობდნენ და სწავლობენ ისინი იმას, რომ არასოდეს არ იყოყოჩონ წარმატებებით და პანიკას არ მიეცნენ სიძნელეთა და დროებითი მარცხის მომენტებში.

შენგან სწავლობდნენ და სწავლობენ ყველა ქვეყნის კომუნისტები იმას, რომ ბოლომდე ერთგულნი იყვნენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საქმისა, რომლის ბრწყინვალე განსახიერებას წარმოადგენს სოციალიზმის გამარჯვება სსრ კავშირში. შენგან სწავლობდნენ და სწავლობენ ისინი იმ ქმედს პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს, რომელიც მებრძოლ კოჰორტად შეადუღებს ყველა ქვეყნის, ყველა ხალხის, ყველა რასის მშრომელებს.

შენგან სწავლობდნენ და სწავლობენ კომუნისტები იმპერიალისტური ომების წინააღმდეგ ბრძოლას, მშვიდობიანობისათვის, ხალხთა ბედნიერებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლას.

შენი ბრძნული პოლიტიკა, ამხანაგო სტალინ, მრავალი წლის განმავლობაში იფარავდა კაცობრიობას ახალი იმპერიალისტური ომისაგან, რომელიც მას ემუქრებოდა.

ხოლო როცა კაპიტალიზმის შავბნელმა ძალებმა გააჩაღეს დანაშაულებრივი ომი, შენ ნება არ მიეცი იმპერიალისტურ მტაცებლებს აეხოცვა-ჟლეტაში ჩაებათ საბჭოთა კავშირი; ამით შენ დაიცავი მშვიდობიანობის საქმე და საშუალება არ მიეცი ომის გამჩაღებლებს ჩაებათ ამ ომში ევროპის მრავალი ხალხი. შენ ყურად იღე დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მშრომელთა ხმა, რომელნიც უცხოეთის უღელქვეშ გმინავდნენ, და შენი კეთილშობილი თაოსნობით საბჭოთა ხალხმა ძმური დახმარების ხელი გაუწოდა მათ.

როდესაც მანერჰაიმთა და ტანერთა პლუტოკრატიული ხროვა დაადგა სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის პროვოკაციების გზას, როცა ფინეთის მშრომელმა ხალხმა შეჰქმნა თავისი სახალხო მთავრობა საბჭოთა ხალხი, რომელსაც შენ ხელმძღვანელობ, გამოეხმაურა ფინელი ხალხის მოწოდებას და დახმარება გაუწია მისი ჯალათების, უცხოეთის იმპერიალიზმის აგენტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მილიონობით მშრომელნი მთელს მსოფლიოში მხარს უჭერენ და მხარს დაუჭერენ საბჭოთა კავშირის პოლიტიკას, რომლის სულისჩამდგმელიც შენა ხარ, რადგან იგი ეთანხმება მათს ინტერესებს და აადვილებს მათს ბრძოლას განთავისუფლებისათვის.

მათ იციან, რომ შენ, ამხანაგო სტალინ, არა გაქვს სხვა მიზანი, გარდა იმისა, რომ ემსახურო კაცობრიობის განთავისუფლების საქმეს, არა გაქვს სხვა ცხოვრება, გარდა იმ ცხოვრებისა, რომელიც ხმარდება მშრომელთა კეთილდღეობას და ბედნიერებას.

გამოხატავენ რა ხალხის მილიონიანი მასების გრძნობებსა და აზრებს, ყველა ქვეყნის კომუნისტები ფიცსა სდებენ შენს წინაშე, ჩვენო მშობლიურო და საყვარელო ამხანაგო სტალინ, რომ ისინი განახორციელებენ შენს დიად მოძღვრებას და მთელს თავის ძალას მოახმარებენ კომუნიზმის გამარჯვების საქმეს, ლენინ-სტალინის საქმეს.

ცოცხლობდეს და იმარჯვებდეს მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის უკვდავი მოძღვრება!

იცოცხლოს მრავალ წელს მშრომელთა საბედნიეროდ საერთაშორისო პროლეტარიატის დიდი ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი!

**კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი**



ხალიჩა „ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის პირველი შეხვედრა ტამერფორსში 1905 წ.“

ილო მოსაშვილი

# ბელადის სახლი

[illegible]

1920 წლის გაზაფხული.

[illegible]

სდუმდნენ ქედები, მოსილნი შავით,
ბნელი ეხურა მიმავალ დროსაც,
და შლიდა ცაში მშიერი სვავი
სამფეროვანს და გლოვისფერ დროშას.

უცებ იქუხა, გაიხსნა ბჭენი,
ფესვებს გაეკრა ხე დახეხილი,
ღამე იყო თუ ბნელეთის ჭერი—
ხმელეთს დაემხო ჩამოტეხილი.

შეირყა მთები, გორის ციხიდან
მიწამ მოხვეტა ძველი ალაგი,
მიწამ კედლები წამოიკიდა,
უნდა მტკვარგალმა დადგას ქალაქი.

თითქო ქვესკნელში ეჯდეს კაენი,
იწვის, სივდება ცოდვით მოცული
და ანგრევს ციხეს ჩინგიზ ყაენი,
მატიანედან მკვდრეთით მოსული.

მთიულეთისკენ ჩქარა მდევარი,
ჩქარა — ჩაჩქანი სადმე რაც არი!
მაგრამ გაუტყდა გმირს სატევარი
და დაეფარა თვალებს ნაცარი...

შავად თენდება დილა პირველი,
შავი ნახატი ამოაქვს გორის,
თვალებდათხრილი დედა-ფრინველი
თავის ბარტყს ეძებს ნანგრევებს შორის.

ეძებს და კვნესის, მიწას მკერდს ახლის,
სტირის სუყველა დედის სატირალს,
და მარტოდ-მარტო პატარა სახლი
მოსჩანს ლიახვის და მტკვრის ნაპირას.

იგი, ნაგები კირით და ოხვრით,
მიწისძვრის ხელმაც არ გაიმეტა
და დარჩა ქართლში ბელადის ქოხი
ქვეყნიერების ხსნად და იმედად.

სიმონ ჩიქოვანი

# გმირული გაზაფხული

[illegible]

როგორც გულისთქმა საუკუნეთა.

შემოგაგებეს ტყვიების სეტყვა,
თითქოს ჩააზშვეს წუთით ნადური.
რომ ცხოვრებისთვის სიმართლე გეთქვა,
იდექ რვალივით გამორანდული.

„თავს უშველეთო“, ვიღაც გარბოდა,
მაინც არ გატყდა მძლავრი ლაშქარი.
ტყვიის ზუზუნი ჰაერს აპობდა,
ქროდა აშარი და ქარიშხალი.

არ განუცდიათ რყევა მცირედიც,
რადგან მათ უძღვენ გული მართალი.
შენ იყავ ჩაგრულ მუშის იმედი
მისი დროშა და მისი სარდალი.

გვერდით დაეცა მოძმე დაჭრილი;
თითქოს ჯალათმა დანაც მოლესა.
იყო ხმაური, ქარი გაშლილი,
მაგრამ შენ მუშის კვნესა მოგესმა,

დაწვდი, იმედი მკერდზე ასხურე,—
ფიქრმა მიიღო გულის დასტური,
და ვით სამშობლო გადაახურე
გული და მხრები ახალგაზრდული.

ფარად დაუთმე მკერდი აღმართი,
ფარივით სწრაფი გვამცნე გმირობა.
მუშის სიცოცხლე ტყვიას წაართვი
და დაუამე მოძმეს ჭრილობა.

გაკაფე ცეცხლი, იქსენ დაჭრილი,
დაქანცულ მებრძოლს ძალას მატებდი,
შენ უკვე იყავ დიდი სტალინი
და მომავალის გზას ანათებდი.

კახაბერიდან მზე მოვლენილი
დაგნათოდა და კარგად ისმოდა,
როგორ გეძახდა დიდი ლენინი
და ხალხში მდგომი მარადისობა.

მარტის თვე იყო ჯერ არ ნახული,
ტყემლის რტოები ყვავოდენ გარეთ.
შენი გმირობა და გაზაფხული
ალამაზებდა მშობლიურ მხარეს.

და ეხლა როცა ბუნება უხვი,
იფეთქებს, გვიძღვნას მზე და ლაზათი,
გულში იელვებს შენი ჩიბუხი,
და ცისკარივით მდგომი ასანთი.

ანთებულ ლექსით ვხვდები განთიადს,
მინდა შეგკადრო მგოსნის მადლობა,
რომ კაცს ადიდებს შენი ქარტია
და შენი ბრძნული ახალგაზრდობა.

## „ბელადი“

სახელგამმა გამოსცა კონსტანტინე გამსახურდიას ტრილოგიის „ბელადის“ პირველი წიგნი, რომელშიაც ასახულია ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ცხოვრების ბავშვობისა და ყრმობის პერიოდი. ტრილოგიის პირველი წიგნი შეიცავს შემდეგ თავებს: 1) უფლისა არაბული, 2) „ლოლია, ლოლია...“ 3) ლანდები გარბიან, 4) რაინდები არა სტირიან..., 5) გაფრენილი სურათი, 6) „აგა!“ 7) ტონთიო, 8) „რატომ?“, 9) ცხვირპაჭუა დალასკუტა, 10) „წარმართი“, 11) ხიდაათი, 12) „ფენდრიხან“, 13) ვარსკვლავები ცრემლიან თვალიდან..., 14) სარდაფის კრივი, 15) „კეთროვანი“, 16) სიტყვა ქვასაც ჰგავს..., 17) აშლოყანე, 18) სიკვდილს ულიმისო..., 19) ვერცხლის ქამარი, 20) „მუხრანბატონო გაგიხმეს მარჯვენა“, 21) კვირაძალი, 22) ოსმანას სიკვდილი, 23) მხერხავები, 24) შავი ორშაბათი, 25) ფოტოგრაფიული აპარატი, 26) ჰყივოდნენ ყორნები წმინდა, წყლის მინდორზე..., 27) დანახვისა.

წიგნი მშვენივრად არის გაფორმებული მხატვარ ლ. გრიგოლიას მიერ.



# შენს დაძახილზე, ბელადო!

გიმღერი ერწოს მთებიდან
ფშაველი ენაწყლიანი,
ბანს მეუბნება იორიც,
მდინარე ჩანჩქრებიანი.
გიმღერენ ივრის ჭალებიც,
მთა — საბადური ტყიანი
გიმღერენ უფსკრულს ჩასული
ხევები სალიკლდიანი.

სტალინო, ჩვენო იმედო,
არწივო მხარკვერიანო.
შენ გადიდებენ ვარსკვლავნი
ცაზე, რომ დასხდებიანო,
მინდა, რომ საუკუნეთა
ზვირთები მუდამ იარო.
დრო-ჟამი ვერას დაგაკლებს
მას შენი ეშინიანო.

ყოფილი მოჯამაგირე
წარსულში განამწარები,
მზეზე შენ გამომიყვანე,
გეტრფი და გეთაყვანები.
მითქვამს და ვიტყვი:—ჩემფერთა,
აღმზრდელო, გენაცვალები,
მინდა ყოველდღე გიმღერო,
რაც მაქვს ფიქრი და ძალები.

ლაჟვარდში აქოჩრებულა
„ქუჩი მთიბისა ცვრიანი“,
ფოთლებში შედედებულან
ციური ცვარნი რძიანი
ეს მთები, ტყე და მდინარე
უხვი და ბარაქიანი
სტალინ! შენი მზით გამთბარა
მით ლაღობს ადამიანი!

ერწოს მთაბარი ყოფილა
წინათ თავადის შვილისა
დღეს ამ იალალს ამშვენებს
ცხვარ-ძროხა კოლექტივისა,
მწყემსი სალამურს დამღერის
მისდევს ცხვარ-ბატკნის ჟივილსა,
სტალინ, შენ გადაგვარჩინე
ჭირს და წყლულების ტკივილსა.

ამღერებულა ნიავი
ტყის ფოთლებს მოაშრიალებს,
იქ, სადაც მგელი ღმუოდა,
შრომის სიმღერა წკრიალებს.
ფშაური სისალიც ადუღდა,
ჩვენი მთაც ჰქუხს და გრიალებს
შენს დაძახილზე, ბელადო,
ერთიც არ დაიგვიანებს!

მშობელი ქვეყნის მთა-ბარო,
სიამევ ხალხის გულისა!
მშრომელთა ოფლით ნაზანო
სიმბოლოვ სიყვარულისა!
აყვავებულო ბაღნარო,
სიტურფევ გაზაფხულისა!
სტალინური მზით გამთბარო
ნუგეშო დაჩაგრულისა!

შენ შობე დიდი სტალინი
ჩვენი გული და გონება,
ხალხისთვის ასე ძვირფასი
ცხრა მზეც არ შაიკონება.
შენ შობე ხალხის სიმართლე,
შენ შობე ბრძენი სტალინი —
ათასი მზის ელვარება,
ცა-ღრუბლებგადაბანილი.

მუხავ, ღრმად ფესვებ გადგმულო
ურყევო სამოც წლიანო,
დღისით—მზე, ღამით ვარსკვლავნი
შენ შტოებს ემთხვევიანო.
სცოცხლობდეს შენი ერთგული,
მოლოტოვი და ბერია!
სცოცხლობდეს, ხალხი, რომელთაც
შენი მზე გულზე ჰფენია.
სცოცხლობდეს დიდი სტალინი,
მთელი მსოფლიოს გენია!
იცოცხლე მრავალჟამიერ,
სტალინო, სახე მზიანო!

გიმღერი ერწოს ველიდან
მთანი ბანს მომძახიანო.

ალექსანდრე კუდიანაშვილი

სოფ. ველათ-ხევა, თიანეთის რაიონი.

# გილოცავ, დიდო ბელადო!

გისურვებ დიდო ბელადო,
ჯანით და ღონით მრთელობას,
ანგრევ დრომოჭმულ ცხოვრებას,
აშენებ ახალ შენობას.

ზეიმობს შენი სამშობლო
თაიგულივით შაკრული!
შენგან მოელის შველასა
ყოველი ქვეყნის ჩაგრული.
შენგან მოელის დახსნასა
მონობით ფეხებგაკრული.

ლენინის დროშით მიდიხარ,
მიჰქრიხარ გამარჯვებული
და იმის კალთის ფრიალზე
ჩვენც მოგდევთ გახარებული.

ბელადო, შენი სახელი
დიდ სამშობლოზეც დიდია
უზარმაზარი მსოფლიო
შენ მხრებზე აგიკიდია.

მშობლიურ ხალხის ცხოვრებას
ახსენი ოქროს კარები,
შეამჭიდროვე ერთურთთან
პროლეტარული ჯარები,
სადარაჯოზე დამდგარან
ხელში უჭირავთ ფარები.
თუ მტერთან ბრძოლა მოუხდათ,
მეც მივალ—მივეხმარები.

ათას წელიწადს იცოცხლე!
ათასზე კიდევ მეტადა
შენი სახელის სხივები
სამშობლოს ედგას სვეტადა!
შენს სურათს წმინდად ვინახავთ
ვერას დაგვაკლებს მტერია
იცოცხლე! დიდხანს გიცოცხლოს,
გვერდში რომ გიდგას, ბერია!

ისაკო მირიანაშვილი

სოფ. ანაგა
სიღნაღის რაიონი.

# სტალინი ქვეყნის ბელადი

სტალინი, ქვეყნის ბელადი,
ქორ-შავარდენი მთისაო,
ეგრე დაჰზრუნავს მშრომელ
ხალხს,
როგორ რომ მამა შვილსაო.

ჯერ კიდევ ჯავრი აწუხებს
ურჯულო მდიდრებისაო,
ძებნა სწადიან შურისა,
აღარ იძინებს ძილსაო.

ნურას იჯავრებ, ბელადო,
ნურას გაიფრთხობ ძილსაო,
მტერ ერთ ბატკანსაც არ მივცემთ,
არც ერთ თიკანსა თხისაო.

აშენე სასახლეები,
ლამაზ ნაგები ქვისაო,
მოქარგე ოქრომკედითა,
შუქ მიაყენე მზისაო.

შენით ვამაყობთ, ბელადო,
ჩვენი ხარ, განა სხვისაო,
ისე ავკაფოთ დუშმანი,
როგორც ტოტები ხისაო.

შენ იდღეგრძელე, ბელადო,
შანამდე წყალი დისაო,
სახელი ჯუღაშვილისა,
როგორც ამოსვლა მზისაო.

ე მაგ ლექსების მოთქომი
სანადიროში ზისაო,
ხელში უჭირავს ჩონგური,
დაჰკრავს და დაეტყვისაო.

მთქმელი პ. გეჯურაშვილი

სოფ. ტაბაწყური, ბორჯომის რაიონი.

# სტალინო, მზეო დიადო!

სტალინო, მზეო დიადო,
ახალ სამყაროს გენიავ.
შუქს გვაფრქვევ საგანთიადოს
მთებიც შენ შემოგმღერიან.

ჩაუქრობელათ ანთია
ჩვენს გულში შენი სახელი
შენ მოგვეც სიბრძნის ქარტია,
სიამის გამომსახველი.

ღარიბ ოჯახში ნაშობო,
დღეს, სხვა მზის შუქი გარტყია.
შენ ააყვავე სამშობლო,
გააფოლადე პარტია.

მოხუცს, თუ ახალ თაობას
გვმზრუნველობ როგორც მშობელი,
გვინერგავ გამბედაობას,
გმირობისაკენ მხმობელი.

შენ გიმღერს მთელი ბუნებაც,
ბანს აძლევს ხორბლის თავთავი.
გამქრალა დაძაბუნება,
ხარობს სამშობლოს მთაველი

ვხარობთ, და ვარდის ფერი ვარ[illegible]
ცხოვრება საამურია,
მუდამ შენ შემოგცქერივართ,
და მზერა ისევ გვწყურია.

რაც ცაზე ვარსკვლავებია,
ან კავკასიონს მთებია,
იმდენი სასიქადულო,
დღეებიც გაგთენებია.

იცოცხლე, დიდხანს იცოცხლე
მზევ ხალხში შემოტანილო
კაეშანს იქ რა ბინა აქვს,
სადაც გვმზრუნველობ, სტალინო

მოსწავლე რუბენ გიგუაშვილი

სოფ. ალი, ხაშურის რაიონი.

# გვითხარი ჩვენო სარდალო!

ყრილობა ჰქონდათ ხევსურთა
იქ მასულიყო ბერია,
სულიაური თორღვაი
საუბარს ჩამოერია:
— გვითხარი, ჩვენო სარდალო,
ხევსურს თუ გავა გზანია?
თუ დავესწრებით იმ დღესა
შუა გაიჭრას მთანია?
ძნელია უგზოთ ცხოვრება
მოწყვეტა ქვეყნად ბრალია,
მთას ქედს უხრიან ხევსურნი,
როგორც ბატონსა ყმანია.
ჩვენც შაგეწევით, სარდალო,
ოღონდ ხმა დასწვდეს თქვენია,
ხევსურ ინჟინერ გივარგის
გზის პლანი შაუდგენია.
ერთი მამასწრო იმ დღესა,
რო გადმაივლის გზანია,
მე შოფრად დავჯდე რულზედა
შუშინით შავძრა მთანია.

—„ხევსურნო! ამბობს სარდალი,
ახლა მეც მინდა თქმანია.
გვეძახის გამარჯვებისკენ
ჯუღაშვილის ხმანია.
ხევსურეთ გზები გაიყვათ,—
სტალინმა დამაბარია —
დააძმობილეთ ერთ-ურთსა
მაღლა მთა, დაბლა ბარია“.

ვენაცვალები სტალინსა
ჩვენი გუნების დარია,
კარგი ჰყოლია მოწაფეც
უნარს უქებენ ძალიან
სიტყვა და საქმე ერთი აქვს,
ჩვენი სისხლი და ძვალია,
მან დაგვამშვენა ხევსურნი,
გამოგვიყვანა გზანია.

მთქმელი ბეწიკა ჯაგუშაური

სოფ. ფასანაური, დუშეთის რაიონი

შალვა დადიანი

# ქარ-ბუქი

ის მიდიოდა თავდაღწეული.

გზა იყო სახიფათო და ამინდი საშინელი:

ქარ-ბუქი მძვინვარებდა.

ირგვლივ არემარე თეთრი ჯავშნით იყო გათანგული.

და მდინარეებსაც ეს ყინულოვანი ქვითკირი კარგა ღრმად ჩასწვდომოდა.

ესეთ უნდილ იატაკ-ქვეშ კი მდინარებდა შეუჩერებელი ზვირთები წმინდა წყლისა... მიწანწკარებდა, მიჰქუხოდა.

გარედან ვერას შეამჩნევდით: გალიპული იყო ზედაპირი, მკვდარი, თეთრ სუდარაში გამოხვეული.

ფიჭვი და ნაძვი ირგვლივ ხშირ და გაუვალ ტყედ წამოქოჩრილი, იქა-აქ თუ აჩენდა თავის მარადიულ სიმწვანეს.

ქარ-ბუქი ზოგჯერ ალაგ-ალაგ ჩამოაცლიდა მისგანვე მიყრილ თოვლსა. საერთოდ კი შტოები ყინვით იყო გაშოტილი.

და აქაც გონების თვალით თუ დაინახავდით, რომ ამ ცამდე ასხლეტილ, საუკუნოვან ხეებს მხოლოდ შინაგანი, ყრუ სიცოცხლე ჰქონდათ შერჩენილი. ფესვები, შტოები და წიწვოვანი ფოთლები შინაგან ხარობდნენ მხოლოდ.

თვით ზამთრის ჩიტი, მწვანეფრთიანი „ივანოკი“-ც ვეღარ ფრენდა, ვერ ჭიკჭიკებდა, იყო თავის საბუდარში ჩაყუჟული და უცდიდა ვაპოდარებას.

გარეთ ბორგავდა და ღრიალებდა სასტიკი ქარი, თოვლს აყრიდა ყოველსავე და მყისვე იქვე ჰყინავდა.

დგებოდა კორიანტელი და თითქო გამყინვარებული თარეშიაო. ამ გამყიჯოჯოხეთური თარეშიაო. ამ გამყინავ თოვლის მტვერს აყრიდა მიდამოს: ზესკნელიდან, ქვესკნელიდან, გარესკნელიდან.

თითქო ხორციელს არავის შეეძლო ამ ქარ-ბუქში თავის გატანა.

ის
მიდიოდა
თავდაღწეული და თავაწეულიც.
მიდიოდა გავსილის ნაბიჯით.
მტკიცედ, შეურყევლად.

ქარ-ბუქი თავბრუდამხვევი იყო, გზის ამრევი, მაცდუნებელი.

ადგილობრივ მცხოვრებთ ჩვეულებად ჰქონდათ თურმე, თუ ესეთ ქარ-ბუქში მოხვდებოდნენ, ჩაწვებოდნენ თოვლში და ზემოდანაც თოვლით დაიფარებოდნენ.

თუ გაუძლებდნენ, ტაროსი შეიცვლებოდა თუ არა, ამოძვრებოდნენ ცოცხლად დამარხულნი და განაგრძობდნენ თავიანთ გზასა.

თუ გაუძლებდნენ!

და განა ბევრს გაუძლია?

ვინ იცის რამდენია დამარხული ნარიმის მხარეს: ტაიგასა და ტუნდრებში ჩაცვენილი ბევრ მამაცთა ძვლები.

აგერ შემოუტია მგზავრს ქარბუქმა დიდის სიმძლავრით.

გახვია იგი კორიანტელში, მტვერის ფერი ფიფქები შეუსია მის მხედველობას და მყისვე პაწია ყინულებად ჩამოუკიდა წამწამებსა და წვერ-ულვაშებზე.

თან ამ გაყინულ სითეთრით თითქო დააბნელა იქაურობა.

ქარის რაზმები შეუყენა მგზავრის მკერდსა და ზურგს. სადგისივით მჩხვლეტავი, ცივი და თან სიქსიქეები ყოველი მხრით მოდგნენ მგზავრის სხეულსა. საყელოში, სახელოებში, კალთებში ძვრებოდნენ დაუნდობლად.

და ლამობდნენ ამ სხეულის დატყვევებას, სულის შეხუთვას, უძრავად ქმნასა, მაგრამ

ის

არ შეჩერებულა,
მხარი არ აქცევია,
არც ქედი დაუდრეკია.

განაგრძობდა თავის გზას გავსილის ნაბიჯით, მტკიცედ და შეურყევლად.

ბრძოლა კი გრძელდებოდა.

ბრძოლა არა თანასწორი.

ტაროსის მხარეზე იყო ქაოტიური. მაგრამ სასტიკი ლაშქარი: მძვინვარე ქარი, თვალის დამაბრმავებელი კორიანტელი, თოვლის ნაფლეთებით და წვრილი მტვერით აფორიაქებული, ყოვლის შემბოჭავი, უძრავად მქცევი ყინვა.

თვითონ კი იყო მარტო, მსუბუქად ჩაცმული, უსათბურო, მიუსაფარი.

მას ჰყავდა ამხანაგები, ჰყავდა ხალხი, ჰყავდა დიდი მასწავლებელი, მხოლოდ ამჟამად შორს იყვნენ მისგან.

იმიტომაც მიდიოდა ეხლა, რომ ის მათთან უნდა ყოფილიყო, ამ ხალხთან, ამ ამხანაგებთან, ამ თავის დიდ მასწავლებელთან, რომლის სახე და



ამხანაგ სტალინის გაქცევა გადასახლებიდან (1904 წ.)
მხატვ. გ. ჟამიერაშვილის ნახატი.

სიტყვები მას გონებიდან არასოდეს არ განშორებია.

თუმცა მანვე იცოდა, რომ ამჟამადაც მასთან იყო ხალხის სიყვარული და ეს ათბობდა მის ვაჟკაცურ გულსა.

ასე გაიარა მან დიდი მანძილი.

და ვერ შეურყია ვერც ნაბიჯი, ვერც ნირი, ვერც საქციელი, — „ხურტამ“ და „ბურანმა“, „პურგამ“ და „კურევომ“, სასტიკი ქარ-ბუქის ამ სხვადასხვა ფალავნებმა.

აგერ შემოუტია კიდევ ერთხელ, კიდევ უფრო მძვინვარედ, გახელებულმა ტაროსმა: თითქო გოდრით მიაყარაო ნაბუქარი თოვლი. თითქო უკანასკნელად შეეცადა ქარის მძლავრი დაჯახებით ნაბიჯი შეუჩეროს, კორიანტელით მაინც და მაინც მხარი უქციოს, მაგრამ კვლავ ვერა დააკლო რა.

მგზავრი მაინც წინ მიდიოდა და თუ გარშემო ყინვა ედებოდა მთელს მის ნაკვთსა, ტაროსი ვერ ამჩნევდა, რომ მას კიდევ უფრო ნათლით მოსავდა.

ესე რომ ეხლა მგზავრის ნაცვლად მოიძვროდა დიდი ბურჯი ნათლის სვეტისა...

შორს, სადღაც სინათლე გამოკიაფდა.

ნათლის სვეტმა იქით მიაშურა.

იქ კი, სინათლიანში, მოთავსებული იყო თურმე „ივანოვ-იოლკინი“.

ასე უძახდნენ ადგილობრივნი უბრალო დუქანს, სოფლის შარაზე მდებარე სამიკიტნოს.

გავარვარებულ რუსულ ღუმელთან ისხდნენ:

თვით დუქნის პატრონი, ადგილობრივი პოლიციელი და მსუბუქი ზნის დედაკაცები.

სუფრაზე იდგათ არაყი და საუზმე. ხორხოცებდნენ ვაჟები და კისკისებდნენ ქალები.

პოლიციელი ტრაბახობდა:

— ვერავინ ვერ გამექცევა, ვერავინ. ჩემს დარაჯებს აბა ვინ წასულია! ნარიმის მხარეს ტყუილა კი არ ეძახიან პოლიტიკურთა სასაფლაოს. ამისთანა ამინდში ხომ ეშმაკიც ვერ გაბედავს გარეთ ფეხის გადგმას. ჩვენ, ადმინისტრაციას, ძალიან გვეხმარება ეს ქარ-ბუქი. უჩვენოდაც იგი ჰყინავს სისხლს გამოქცეულებისას... ეჰ, დაასხი, პატივცემულო... შენ კი აქეთ, უფრო ახლოს მოიწი, მატრიოშა...

მოულოდნელად დუქანმა საეჭვო კრიალი მოიღო. თითქო ინგრევაო კედლები.

ამავე დროს თითქო გრიგალმა შემოგლიჯაო, კარები ფართოდ გაიღო, კედლებს მიუხეთქა და

ამ ბუნაგში შემოვიდა იქ მყოფთათვის გაუგებარი დიდი ნაკვთი

ნათლის სვეტისა.

მის დანახვაზე დაფეთდნენ „ივანოვ-იოლკინ“-ში მყოფნი და გაიფანტნენ ბნელი ძალები.

„შევითვალტყე“ — ნათლის სვეტს ულვაშებში გაეღიმა.

იმავ დროს კი ნარიმის მხარის ტელეგრაფის მავთულები ზუზუნებდნენ:

„გამოიქცაო... საშიში პატიმარი“...

ეს იყო ის, გავსილის ნაბიჯით რომ მოდიოდა მძვინვარე ქარბუქში, მტკიცედ და შეურყევლად.

ი. ს.

ქართულად ამ ნაცვალსახელში გამოთქმულია მისი ვინაობა.

# „ამხანაგ სტალინის დაბადების სამოცი წლისთავისათვის"

დასასრული

ურყევი რწმენით. „ამხანაგი სტალინი ხედავდა, თუ რა სიძნელეები იდგა მუშათა კლასის წინაშე, მაგრამ იგი ხედავდა მასების ძალასაც, რომელსაც შეეძლო ამ სიძნელეთა გადალახვა.

ამასთან დაკავშირებით, — ამბობს ამხ. კალინინი, — მაგონდება მოწუწუნეთა და რწმენამოკლებულთათვის ამხანაგ სტალინის მიერ გაცემული პასუხი:

„გინახავთ თუ არა მეთევზეები ქარიშხლის წინ ისეთ დიდ მდინარეზე, როგორიც მდინარე ენისეია? მე ისინი არაერთხელ მინახავს. არის ხოლმე, რომ მეთევზეთა ერთი ჯგუფი, როცა ქარიშხალი იწყება, მთელ თავის ძალებს იკრებს, თავის ამხანაგებს აღაფრთოვანებს და გაბედულად მიჰყავს ნავი ქარიშხალში: „ყოჩაღად ბიჭებო, მაგრად მოჰკიდეთ ხელი საჭეს, გააპეთ ტალღები და ჩვენ გავიმარჯვებთო!" მაგრამ არიან მეორე ყალიბის მეთევზენიც, რომლებიც ქარიშხლის მოახლოებისას სულით ეცემიან, წუწუნს იწყებენ და თვითონვე შეაქვთ არევ-დარევა საკუთარ რიგებში: „რა გვეშველება, ქარიშხალი იწყება, ჩაწექით, ბიჭებო, ნავში, დახუჭეთ თვალი, ეგებ როგორმე ნაპირზე გაგვაგდოსო".

როგორც ადამიანთა საზოგადოების დიადმა გარდამქმნელმა, ამხანაგმა სტალინმა პარტიის XV ყრილობის წინაშე და ამით მთელი ჩვენი ქვეყნის წინაშე დააყენა ახალი ამოცანა, რომელიც გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ამოცანა, როგორც ორგანიზაციულ - ტექნიკურად, ისე განსაკუთრებით პოლიტიკურად: მოვახდინოთ გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაცია, რათა ერთი საფეხურით კიდევ უფრო მაღლა ავიდეთ, კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგათ სოციალიზმისაკენ. ამხანაგმა სტალინმა მოგვცა გენიალური გაგება და თეორიული დასაბუთება ამ საკითხისა, მისი კავშირი ქვეყნის მთელ ეკონომიკასთან, გათვალისწინება მატერიალური რესურსებისა და იმისა, რომ გლეხობას აქვს უნარი კოლექტივიზაციისა და, ბოლოს, პარტიის პოლიტიკური მომზადება, მისი უნარი მასების ამოძრავებისა ამ დიადი საქმისათვის.

ამ გრანდიოზულ ამოცანას, რომელიც კომუნიზმის მშენებლობის ერთერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს, თავს გაართმევდა მხოლოდ ისეთი ადამიანი, რომელიც სრულყოფილად დაუფლებულია მარქსიზმ - ლენინიზმს, მარქსისტულ დიალექტიკას, რომელსაც შესწევს უნარი ანგარიში გაუწიოს გარემომცველი პირობების ყველა ელემენტს და გამოიყენოს ისინი კომუნიზმის ინტერესებისათვის.

პარტიის XV ყრილობამ ამხანაგ სტალინის ინიციატივით მიიღო გადაწყვეტილება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შესახებ. ამით დასაბამი მიეცა საბჭოთა ქვეყნის გლეხობის ახალ ისტორიას.

ამხანაგმა სტალინმა მორიგ ამოცანად წამოაყენა საკითხი მთელს ფრონტზე კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ სოციალიზმის გეგმაშეწონილი შეტევის მოწყობის შესახებ. პარტიის XV ყრილობამ მოგვცა დირექტივა სახალხო მეურნეობის პირველი ხუთწლიანი გეგმის შედგენის შესახებ და ამ გეგმის ოპტიმალური ვარიანტი მიღებულ იქნა 1929 წლის აპრილში XVI პარტიული კონფერენციის მიერ.

1929 წელი, ამხანაგ სტალინის განსაზღვრით, გახდა „დიადი გარდატეხის წელიწადი". მშრომელმა გლეხობამ 1929 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო დიდ მასებად გადასვლა ერთპიროვნული მეურნეობიდან კოლექტიური მეურნეობისაკენ. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში შეიცვალა კლასობრივ ძალთა შეფარდება. საბჭოთა ხელისუფლება გლეხობის უღარიბესი და საშუალო მასების სრული მხარდაჭერით 1929 წლის დამლევს გადავიდა კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციის პოლიტიკაზე მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე.

„სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას და კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციას,—სწერს ამ პერიოდის დახასიათებისას ამხ. კალინინი, — მართებულად ეწოდება რევოლუციური გადატრიალება, რომელიც თავისი შედეგებით ისეთივეა, როგორც ოქტომბრის გადატრიალება 1917 წელს".

ეს იყო მსოფლიო - ისტორიული გამარჯვება. ეს გამარჯვება მოპოვებულ იქნა გააფთრებულ კლასობრივ ბრძოლაში. კულაკთა აპოლოგეტები — საზიზღარი ბანდა ბუხარინელებისა და ტროცკისტებისა—მთელი ძალღონით ცდილობდა ჩაეფუშა სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმე. მაგრამ ეს კონტრრევოლუციური, რესტავრატორული ცდები მხილებულ და გაცამტვერებულ იქნა. გაქარწყლდა პარტიის მტრების — ტროცკისტებისა და ბუხარინელების მტკიცება იმის შესახებ, რომ მუშათა კლასს უნარი არ შესწევს დარაზმოს გლეხობა და იგი სოციალისტური გზით გაიყოლიოს.

კოლმეურნეობათა გამარჯვებაში უდიდესი როლი შეასრულეს მანქანა-ტრაქტორების სადგურებმა, რომლებიც ამხანაგ სტალინის ინიციატივით გადაიქცნენ პრაქტიკულ საშუალებად სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღებისა და მისი სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეში.

საკოლმეურნეო მშენებლობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ამხანაგ სტალინის სტატიებს „თავბრუდახვევა წარმატებისაგან" და „პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს". ამჟღავნებდა რა საკოლმეურნეო მოძრაობაში დაშვებულ შეცდომათა ფესვებს, ახდენდა რა ძალების მობილიზაციას დამახინჯებებთან და გადახრებთან ბრძოლისათვის, ამხანაგი სტალინი დაეხმარა პარტიულ ორგანიზაციებს სწრაფად გამოესწორებინათ დაშვებული შეცდომები და გამანადგურებელი ლახვარი ჩაეცათ მტრებისათვის, რომელთაც იმედი ჰქონდათ გამოეყენებინათ გადახრები გლეხობის ასამხედრებლად საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ბრძნული სტალინური პოლიტიკის განხორციელების შედეგად 1930 წლის შუა პერიოდისათვის საბჭოთა კავშირი ინდუსტრიულ ქვეყნად გადაქცევის წინახანებში იმყოფებოდა. მასებში ჩაისახა მისწრაფება ოთხი წლის განმავლობაში შეესრულებინათ პირველი სტალინური ხუთწლედი; სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკაში უკვე იკავებენ გადამწყვეტ ადგილს კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი; საბჭოთა ხელისუფლებამ კოლმეურნე გლეხობის სახით სოფლად უდიდესი დასაყრდენი მოიპოვა.

საკ. კ. პ. (ბ) XVI ყრილობამ, რომელიც შესდგა 1930 წლის ივნის-ივლისში და რომელიც იყო მთელ ფრონტზე სოციალიზმის გაშლილი შეტევის ყრილობა, არა მარტო განამტკიცა მოპოვებული გამარჯვებანი, არამედ უზრუნველჰყო კიდეც სოციალისტური მშენებლობის ტემპების ახალი აღმავლობა.

ამხანაგ სტალინს მტკიცედ და ურყევად მიჰყავს სსრ კავშირის ხალხები სოციალიზმის აშენების გზით, იგი ჩვენი ქვეყნის წინაშე სულ ახალ-ახალ ამოცანებს აყენებს. მრეწველობის მუშაკთა კონფერენციაზე, რომელიც 1931 წლის თებერვალში შესდგა, ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, რომ სახალხო მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციაში გადამწყვეტი რგოლი არის ტექნიკის დაუფლება. დაკვირვებით ადევნებს რა თვალს კოლმეურნეობათა განვითარებას, ამხანაგი სტალინი აყენებს კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ - სამეურნეო განმტკიცების ამოცანას. 1933 წლის თებერვალში, დამკვრელ კოლმეურნეთა I სრულიად-საკავშირო ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა გადაგვიშალა პროგრამა ბრძოლისა იმისათვის, რომ ყველა კოლმეურნეობა გადაგვექცია ბოლშევიკურ კოლმეურნეობად, ხოლო კოლმეურნენი — შეძლებულებად.

საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა და გლეხობამ, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, მსოფლიო - ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს. საკ. კ. პ. (ბ) XVII ყრილობამ 1934 წლის იანვარში შეაჯამა პარტიის ლენინურ - სტალინური გენერალური ხაზის სრული გამარჯვების შედეგები.

ამ ყრილობაზე დამტკიცებულ იქნა მეორე სტალინური ხუთწლედი, რომელმაც უზრუნველჰყო სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრება და ჩვენს ქვეყანაში ექსპლოატატორული კლასების უკანასკნელი ნაშთების ლიკვიდაცია.

აკეთებს რა დასკვნებს ამხანაგ სტალინის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ფაქტებიდან, ამხ. კალინინი ხაზგასმით აღნიშნავს ბელადის ყველაზე ძვირფას თვისებას — მის უდიდეს უნარს საზოგადოებრივ - პოლიტიკურ მოვლენებში ორიენტირებისას, მოვლენათა განვითარების პროცესების სწორი განჭვრეტის უნარს.

„თვალი გადაავლეთ მის ცხოვრებას,—სწერს ამხ. კალინინი,—ჭაბუკი სდებს ჰანიბალის ფიცს—მთელი თავისი არსებით შეეწიროს მუშათა კლასის საქმეს, მისი ინტერესებისათვის, მშრომელთა ინტერესებისათვის ბრძოლას. ორმოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში იგი განუწყვეტლივ დგას მებრძოლი პროლეტარიატის მოწინავე რიგებში.

ლენინთან ერთად ამხანაგი სტალინი ჰქმნის და ზრდის კომუნისტურ პარტიას. ლენინთან ერთად მიუძღვება ბრძოლაში პარტიას, რომელიც სათავეში უდგას მუშათა კლასს. უკან იხევს რა დამარცხების დროს, ამხნევებს და აღაგზნებს პარტიას — საბოლოო გამარჯვება ჩვენია! მთელ ძალღონეს ხმარობს იმისათვის, რომ შეუნარჩუნოს პარტიას ბრძოლისუნარიანობა, მისი კავშირი მასებთან და მოამზადოს იგი ახალი ბრძოლებისათვის კაპიტალიზმის წინააღმდეგ...

მისი ხელმძღვანელობა არა შემთხვევით, არამედ ორგანიულად აღმოცენდა მშრომელი მასებიდან, მუშათა კლასის მებრძოლი ავანგარდიდან — კომუნისტური პარტიიდან, პროლეტარიატის იდეალებისათვის მრავალი წლის ბრძოლიდან, მასებთან მისი მუდმივი მჭიდრო კავშირიდან. ამიტომ სტალინური ხელმძღვანელობის ორგანიული ერთიანობა მასებთან. მასები ტყუილად კი არ გაიძახიან:

„დიდი სტალინი! მშობლიური სტალინი!"

დიდი და მშობლიური... როგორ დავაკავშიროთ ეს ერთ მთელად? როცა ცოლი ან და ამბობს — „მშობლიური",—ის ხომ არ დაუმატებს, —„დიდიო". მასები კი აკავშირებენ. და მათ საამისოდ მორალური უფლება აქვთ. ის ხომ პოლიტიკურად მუშათა და გლეხთა მასების წრეში იზრდებოდა, იწრთობოდა. ხომ მასები, მუშათა კლასი, გლეხობა იბრძოდნენ მის მხარდამხარ. მისი იდეები, მისწრაფებები და მიზნები ხომ ხალხის, მუშათა კლასის, კომუნისტური პარტიის იდეებს, მისწრაფებებსა და მიზნებს წარმოადგენენ. მაშ როგორ არ არის იგი მშობლიური! სწორედ მშობლიურია, დიდია!

ისტორია პირუთვნელი მსაჯულია. მაგრამ საბჭოთა ქვეყნის ხელმძღვანელობას, პარტიის ხელმძღვანელობას, თამამად შეუძლია წარსდგეს მის წინაშე. ამხანაგ სტალინს, როგორც გამოცდილ კაპიტანს, გაბედულად მიჰყავს სახელმწიფო ხომალდი დასახული გზით კომუნიზმისაკენ".

1935 წლის მაისში, წითელი არმიის აკადემიკოსთა გამოშვებაზე ამხანაგი სტალინი თავის სიტყვაში მთელი სიმწვავითა და სიბრძნით აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ „კადრები სწყვეტენ ყველაფერს". სწორედ ამ სიტყვამ მისცა მძლავრი ბიძგი სტახანოვურ მოძრაობას, რომლის უდიდესი მნიშვნელობა კომუნიზმისათვის ბრძოლაში ამხანაგმა სტალინმა განსაზღვრა 1935 წლის ნოემბერში, სტახანოველთა სრულიად-საკავშირო თათბირზე.

ამხ. მ. ი. კალინინი სწერს: „ამბობენ, დიადი ჭეშმარიტება მარტივიაო. და მართლაც, როდესაც სტალინურმა აზრმა საბჭოების ქვეყნის ძირითადი კანონის ბრწყინვალე სტალინური ფორმა მიიღო, ყველამ დაინახა, თუ რა მარტივია ეს და ამასთან რა გონიერი, მიზანშეწონილი და პოლიტიკურად აუცილებელი. აი სწორედ აქ გამოჩნდა პროლეტარული ბელადის სიდიადე..."

სტალინური კონსტიტუციის მიღებით დაგვირგვინდა უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის მთელი ისტორიული ხანა. დაიწყო კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლის პერიოდი.

1939 წლის მარტში ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XVIII ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა გადაშალა კომუნიზმის პირველი ფაზიდან მის მეორე, უმაღლეს ფაზაში გადასვლისათვის ბრძოლის გრანდიოზული პროგრამა.

„მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს,—ამბობდა ამხანაგი სტალინი, — ჩვენ გავუსწარით წარმოების ტექნიკისა და მრეწველობის განვითარების ტემპების მხრივ. ეს ძალიან კარგია. მაგრამ ეს ცოტაა. საჭიროა გავუსწროთ მათ აგრეთვე ეკონომიურადაც. ჩვენ შეგვიძლია ამის გაკეთება, და კიდეც უნდა გავაკეთოთ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიურად გავუსწრებთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს, ჩვენ შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი ქვეყანა სულ სავსე იქნება მოხმარების საგნებით, ჩვენ გვექნება პროდუქტების სიუხვე, და შესაძლებლობა მოგვეცემა კომუნიზმის პირველი ფაზიდან გადავიდეთ მის მეორე ფაზაში".

ამხანაგმა სტალინმა მოგვცა ახალი გაგება სახელმწიფოსი, როგორც მუშათა კლასის მძლავრი იარაღისა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, შემდგომ განავითარა სოციალისტური სახელმწიფოს ლენინური თეორია, ცხადჰყო მისი როლი კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

ამხანაგ სტალინის მოღვაწეობაში ჩვენ ვხედავთ თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის ბრწყინვალე განსახიერებას. იგი არა მარტო ჰქმნის თეორიას, არამედ პრაქტიკულადაც ახორციელებს მას, არა მარტო სწერს ისტორიას, არამედ კიდეც ჰქმნის მას.

პარტიის XVIII ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა კიდევ უფრო ფართოდ და ღრმად დააყენა სოციალისტური სახელმწიფოს საკითხი. მან გააკეთა დასკვნა: სოციალისტური სახელმწიფო დარჩება კომუნიზმის დროსაც, სანამ ლიკვიდირებული არ იქნება კაპიტალისტური გარემოცვა.

ამხანაგ სტალინის თეორიული ნაშრომები სახელმწიფოს შესახებ არის სახელმწიფოს დედაარსში ღრმად ჩაწვდომა მარქსიზმ-ლენინიზმის მეთოდის ოსტატურად გამოყენების საფუძველზე.

ამხანაგი სტალინი ბედნიერი ადამიანია,—სწერს ამხ. კალინინი.—მას შეუძლია იამაყოს. მისი დაბადების სამოცი წლისთავისათვის მისი ხელმძღვანელობით უზარმაზარი ქვეყანა, მსოფლიოს მეექვსედი ნაწილი, სოციალიზმში შევიდა.

უდიდესია ამხანაგ სტალინის დამსახურება მთელი მსოფლიოს მშრომელთა წინაშე, საბჭოთა კავშირის ხალხთა წინაშე. მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა უნდა გავაცნოთ უფართოეს მასებს, რადგან იგი წარმოადგენს ადამიანის ღრმა იდეური ცხოვრების მაგალითს.

უაღრესად გულთბილად გვიამბობს ამხ. კალინინი ლენინისადმი ამხანაგ სტალინის დამოკიდებულების შესახებ:

„ამხანაგ სტალინს უსაზღვროდ უყვარს ლენინი. ეს სიყვარული ორგანიულია. იგი გამომდინარეობს მათი საერთო მიზნებიდან და მისწრაფებებიდან. ლენინის ავტორიტეტი მისთვის უცილობელია.

თუ ისტორიულ ანალოგიებს მივმართავთ, უნდა ვთქვათ, რომ სტალინის დამოკიდებულება ლენინთან მოგვაგონებს ლენინის დამოკიდებულებას მარქსთან, მხოლოდ იმ შესწორებით, რომ ამხანაგი სტალინი უშუალოდ მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა ლენინთან. ამით მე მინდა ვთქვა, რომ მისი დამოკიდებულება ლენინთან უფრო ახლო, უფრო ინტიმური დამოკიდებულებაა.

ამხანაგმა სტალინმა საუცხოოდ შეისწავლა ლენინი, მან შესანიშნავად იცის არა მარტო ყველა მისი ნაწარმოები, არამედ თვითეული მათგანის წარმოშობის მიზეზებიც. შემდეგ ეჭვს გარეშეა, რომ ამხანაგ სტალინს მცირე გავლენა როდი ჰქონდა ლენინზე".

მარქსიზმ-ლენინიზმისათვის განსაკუთრებით ძვირფას განძს წარმოადგენს ამხანაგ სტალინის თეორიული ნაშრომები — ლექციები „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ", ცნობილი ბროშურა „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი", მოხსენებანი, სტატიები, სიტყვები და, ბოლოს, ამხანაგ სტალინის ინიციატივით და მისი უშუალო მონაწილეობით შექმნილი „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი".

ამთავრებს რა თავის საუცხოო წიგნს, ამხ. კალინინი სწერს:

„ორმოც წელიწადზე მეტია, რაც ამხანაგი სტალინი შეუდრეკელი მებრძოლია პროლეტარიატის საქმისათვის.

ლენინთან ერთად მან გაარღვია კაპიტალისტური ფრონტი და შექმნა პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო. 1924 წლიდან იგი სათავეში უდგას კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა ხალხს. იგი არის იმედი, შუქურა მშრომელი კაცობრიობის მილიონთათვის. ხალხის საზეიმო შეძახილში „ლენინი — სტალინი" ჩვენ გვესმის მათი დიადი აზრების ერთიანობა.

კაცობრიობის ისტორიაში ცოტანი როდი არიან დიდი, გენიალური ადამიანები. მაგრამ ლენინი და სტალინი თავისებურნი და ერთადერთნი არიან. ისინი დიდი ადამიანები არიან არა მარტო თავისთავად. მათ ღრმად აქვთ გადგმული ფესვები მასებში, მათთან განუყრელად არიან დაკავშირებულნი მსოფლიოს მშრომელთა საუკეთესო იდეალები და მისწრაფებანი. მასებს სურთ, რომ ისინი დიადნი იყვნენ, მათ სიდიადეში მასები ხედავენ თავიანთ სიდიადეს. აი სწორედ ამიტომ მთელი საბჭოთა ხალხი, კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელი მასები და მთელი პროგრესიული კაცობრიობა სიამაყით წარმოსთქვამენ: „დიდი ლენინი!", „დიდი სტალინი!", „გაუმარჯოს და მრავალ წელს სიცოცხლობდეს მშობლიური და დიდი ამხანაგი სტალინი!".

# ოპერატიული ცნობა

## ლენინგრადის სამხედრო ოლქის შტაბისა

20 დეკემბრის განმავლობაში ყველა მიმართულებით ხდებოდა მზვერავი ნაწილების მცირე შეტაკებანი, ზოგიერთ რაიონში კი, განსაკუთრებით **კარელიის ყელზე** ინტენსიური საარტილერიო სროლაა.

ჩვენი ავიაცია საზვერავ ფრენას აწარმოებდა.

## ჩერჩილის გამოსვლა

**ლონდონი,** 19 დეკემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ საღამოს ინგლისის საზღვაო მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა სიტყვა წარმოსთქვა რადიოთი.

ეხებოდა რა იმ ზიანს, რომელიც სახაზო გემმა „ადმირალ გრაფ შპეემ" მიაყენა ინგლისის გემებს, ჩერჩილმა განაცხადა, რომ კრეისერ „აიაქსზე" ოთხი საქვემეხო კოშკიდან განადგურებული იყო ორი. კრეისერ „ექსეტერს" 50-მდე ჭურვი მოხვდა. გემის სამი რვადიუმიანი ქვემეხი განადგურებულ იქნა. მოკლული და დაჭრილია 100 კაცი.

შეჩერდა რა ოპერაციებზე, რომლებიც სწარმოებს ჩრდილოეთ ზღვაში, ჩერჩილმა განაცხადა, რომ ინგლისის წყალქვეშა ნავები არახელსაყრელ პირობებში იმყოფებიან, რადგან მათ მცირეოდენი ობიექტები აქვთ თავდასხმისათვის. ამას გარდა, უმეტეს წილად მათ ისეთ რაიონებში უხდებათ მოქმედება, სადაც ნაღმიანი ველებია, აგრეთვე ჰელგოლანდის ყურეში, რომელიც კარგად არის დაცული.

შემდეგ ჩერჩილმა აღნიშნა, რომ 14 დეკემბერს ინგლისის წყალქვეშა ნავმა „ურსულამ" ჩასძირა გერმანიის კრეისერი „კელნის" ტიპისა, ხოლო მეორე წყალქვეშა ნავმა „სალმონმა" — კრეისერი „ლაიპციგი".

შემდეგ ჩერჩილმა განაცხადა, რომ ინგლისის 24 გემიდან, რომელთაც თავს დაესხა გერმანიის ავიაცია 17 და 18 დეკემბერს, ჩაძირულია მხოლოდ 6 თევზსაჭერი მცირე გემი და სანაპირო თავდაცვის 1 მცირე გემი, დანარჩენი გემები დაზიანებულია.

## ჩემბერლენი დასავლეთის ფრონტზე გაემგზავრა

**პარიზი,** 19 დეკემბერი (საკდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისის პრემიერ - მინისტრმა, რომელიც ამ დღეებში თვითმფრინავით ჩამოვიდა საფრანგეთში, ინგლისის საექსპედიციო კორპუსის ნაწილს ეწვია და დაათვალიერა ლოტარინგიის ფრონტის ინგლისური სექტორი. გუშინ დილით ჩემბერლენი ჩავიდა მაჟინოს ხაზზე, სადაც ჰამელენი აჩვენებდა მას სიმაგრეებს. შემდეგ ჩემბერლენმა დაათვალიერა ინგლისის ქვეითი ბატალიონი და საფრანგეთის არტილერიის ბატარიები.

## ინგლისისა და გერმანიის თვითმფრინავებს შორის ბრძოლის შედეგი

**ბერლინი,** 19 დეკემბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ გერმანიის სანაპიროზე ინგლისის თვითმფრინავების გუშინდელი თავდასხმის დროს გერმანიის ავიაგამანადგურებლების მიერ ჩამოგდებულია ინგლისის 34 ყუმბარმშენი, ხოლო, ამას გარდა, ერთი ჩამოგდებულია გერმანიის საზენიტო არტილერიის მიერ, მეორე კი იძულებით დაეშვა წყალზე უკან გადაფრენისას. ამრიგად სულ განადგურებულია ინგლისის 36 ყუმბარმშენი.

## ომი ზღვაში

**ნიუ-იორკი,** 20 დეკემბერი. ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ხელისუფლებამ ცნობა მიიღო ამერიკის კრეისერ „ტუსკალუზისაგან", რომ 300 მილის მანძილზე ნორფოლკის (ვირგინიის შტატი) ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით გერმანიის გემი „კოლუმბუსი" ჩასძირა ამავე გემის ეკიპაჟმა.

„კოლუმბუსის" წყალწყვა უდრიდა 32.565 ტონას და სიდიდის მიხედვით იგი გერმანიის მესამე გემი იყო.

გადმოგვცემენ, რომ გემ „კოლუმბუსის" ეკიპაჟის ორი წევრი ვერ უპოვნიათ. გადარჩენილი 579 კაცი ნიუ-იორკს ჩაიყვანეს.

O

**ბერლინი,** 20 დეკემბერი. როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, 17 დეკემბერს გერმანიის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა ინგლისის სადარაჯო გემებს. ინგლისის სადარაჯო გემი „ოსეანვიუ" ძლიერ დაზიანდა და ინგლისის ნავსადგურში წაიყვანეს. ინგლისის გემი „გრენტონ-ჯილუსი" ჩაიძირა. სულ 17 დეკემბერს გერმანიის ავიაციამ ინგლისის 9 სადარაჯო გემი ჩასძირა. ინგლისის გემი „სიტი ოფ კობე" ნაღმს წააწყდა და ჩაიძირა ინგლისის აღმოსავლეთ სანაპიროსთან. იქვე ნაღმს წააწყდა და ჩაიძირა დანიის გემი „იუტე". დანიის მეორე გემი „ბოგე" ნაღმს წააწყდა შოტლანდიის აღმოსავლეთ სანაპიროს მახლობლად და ჩაიძირა. ეკიპაჟიდან 17 კაცი გადაარჩინეს.

გერმანიის ხელისუფლებამ გაათავისუფლა შვეციის 18 გემი, რომლებიც გერმანიის ნავსაყუდელში ჰყავდათ ჩაყვანილი შესამოწმებლად.

O

**ნიუ-იორკი,** 20 დეკემბერი. ურუგვაიმ დააკავა გერმანიის სატვირთო გემი „ტაკომა", რომელსაც ნავთი მიჰქონდა სახაზო გემ „ადმირალ გრაფ შპეესათვის".

O

**ლონდონი,** 20 დეკემბერი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, გერმანიის ეკიპაჟებმა, ინგლისის გემებს რომ არ ჩავარდნოდნენ ხელში, ჩასძირეს გერმანიის 23 გემი, რომელთა წყალწყვაც უდრის 140 ათას ტონას. გარდა ამისა, მოკავშირეებმა ხელთ იგდეს გერმანიის 19 გემი, რომელთა საერთო წყალწყვაც 88 ათას ტონას უდრის. (საკდესი).

## ომი დასავლეთ ევროპაში

**პარიზი,** 20 დეკემბერი (საკდესი). გუშინ საღამოს პარიზში გამოქვეყნდა კომუნიკე საომარი მოქმედების შესახებ; კომუნიკეში ნათქვამია: „დღის განმავლობაში შემჩნეულია მოწინავე რაზმების მოქმედება".

დილის ცნობაში აღნიშნულია, რომ „არსებითი არაფერი მომხდარა".

## გერმანიის სახაზო გემ „ადმირალ გრაფ შპეეს" ეკიპაჟის ინტერნირება

**ლონდონი,** 18 დეკემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო რადიოთი იუწყება, „ნიუ-იორკ ტაიმსის" ცნობით, გერმანიის გემ „ტაკომას" კაპიტანი დაპატიმრებულია იმისათვის, რომ ნებადაურთველად გავიდა მონტევიდეოს ნავსადგურიდან. გერმანიის სახაზო გემ „ადმირალ გრაფ შპეეს" ეკიპაჟის ნაწილი, რომელიც ამავე გემზე იყო, ინტერნირებულია.

## ბრძოლა ინგლისში ზავისათვის

**ლონდონი,** 19 დეკემბერი (საკდესი). ჰადერსფილდში 19 პროფკავშირული, კოოპერატიული და სხვ. ორგანიზაციის დელეგატთა კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მოითხოვს, რათა დაუყოვნებლივ შესწყდეს ომი და მოწვეულ იქნას სამშვიდობო კონფერენცია.

რეზოლუციაში კონფერენციის მონაწილენი სოლიდარობას უცხადებენ საბჭოთა კავშირის პოლიტიკას. „არცერთ თვითმფრინავს, არცერთ ქვემეხს, არცერთ პენსს არ მივცემთ ფინეთის კაპიტალისტ მმართველებს", — ნათქვამია რეზოლუციაში.

## საქონლის მკაცრე ფასების შემოღება ინგლისში

**ლონდონი,** 19 დეკემბერი (საკდესი). გუშინ ინგლისის ვაჭრობის სამინისტრომ გამოაქვეყნა იმ საქონლის პირველი სია, რომელზედაც 1940 წლის 1 იანვრიდან მტკიცე ფასები წესდება.



ბოლშევიკური ქართული გაზეთები, რომლებიც გამოდიოდა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მისი ამიერ-კავკასიაში მუშაობის დროს.

## გაიხსნა წულუკიძის სახლი-მუზეუმი

**ქუთაისი,** 20 დეკემბერი (**საკ. კორესპონდენტისაგან**). დღეს დიდი სტალინის დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით გაიხსნა ბელადის უახლოესი თანამებრძოლის, მგზნებარე ბოლშევიკის ალექსანდრე (საშა) წულუკიძის სახლი-მუზეუმი. მუზეუმის გახსნამ დიდი სიხარული და ინტერესი გამოიწვია მშრომელთა შორის. მუშებმა, მოსამსახურეებმა, სტუდენტებმა და მოსწავლეებმა დილიდანვე დაიწყეს დენა მუზეუმისაკენ. ისინი ეცნობოდნენ მუზეუმში თავმოყრილ ექსპონატებს და ისტორიულ დოკუმენტებს, რომლებიც ასახავენ დიდი რევოლუციონერის ა. წულუკიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. მუზეუმი უხვად იძლევა მასალას ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის რევოლუციურ მოღვაწეობაზე, რომლის ერთგული თანამებრძოლი იყო მგზნებარე ბოლშევიკი საშა წულუკიძე.

მუზეუმი ხუთი განყოფილებისაგან შესდგება, მათ შორის განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს წულუკიძის სამუშაო ოთახი. აქ დგას დიდი რევოლუციონერის სამუშაო მაგიდა საწერი მოწყობილობით, აქვეა მისი საკუთარი ბიბლიოთეკა და სხვ. მუზეუმი მოთავსებულია წულუკიძის ქუჩაზე, იმ სახლში, სადაც 1902—1905 წ.წ. განმავლობაში ცხოვრობდა და მუშაობდა საშა წულუკიძე.

სახლი-მუზეუმი ღიაა მნახველთათვის ყოველდღე 12 საათიდან საღამოს 6 საათამდის (გარდა ექვსდღიურის პირველი დღისა), ხოლო გამოსასვლელ დღეს დილის 10 საათიდან საღამოს 4 საათამდე.

**გ. ყურაშვილი.**

## ლენინის სახელობის მაღარომ შეასრულა წლიური გეგმა

(ტყიბული, ტელეგრაფით „კომუნისტის" კორესპონდენტისაგან).

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეს **ლენინის** სახელობის მაღარო, რომელსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორდენოსანი გრ. გორგიძე ხელმძღვანელობს, ახალი გამარჯვებებით ხვდება. მაღარომ უკვე შეასრულა ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმა და გამარჯვებული გამოვიდა დონბასელებთან შეჯიბრებაში.

წლიური გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით ისახელეს თავი უბნებმა და ცვლებმა, რომლებსაც პ. ჩიხლაძე, ა. ბასილაძე, ქ. შალიკაშვილი, ტ. კუპრავა და გ. ფანჩულიძე ხელმძღვანელობენ; აგრეთვე სტახანოველებმა ორდენოსანმა კ. ცირეკიძემ, ალ. დარსაძემ, ი. გვენეტაძემ, ლ. ცქიფურიშვილმა, ალ. ბაბუხადიამ და სხვებმა, რომლებმაც ჯერ კიდევ 4-5 თვით ადრე შეასრულეს წლიური დავალება.

ლენინის სახელობის მაღაროს მუშათა კოლექტივმა მიტინგზე, რომელიც 18 დეკემბერს დილით შესდგა, აიღო ვალდებულება წლის ბოლომდე დაჰფაროს სტალინის სახელობის მაღაროს ჩამორჩენა და ქვეყანას მისცეს 14.000 ტონა ქვანახშირი.

**დ. საბელაშვილი**

## ორდენოსან ზ. ს. ნადირაძის ახალი რეკორდი

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღის აღსანიშნავად, თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ორდენოსანმა ელექტროშემდუღებელმა, თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატმა ამხ. ზ. ს. ნადირაძემ ახალი საწარმოო რეკორდი დაამყარა. მან 17 დეკემბერს ორთქლმავლის ოთხი ცილინდრი შეადუღა,—181 საათის სამუშაო 7 საათში გააკეთა და დავალება 2585 პროცენტით შეასრულა. ამ დღეს ამხ. ზ. ს. ნადირაძემ 23 მანეთისა და 26 კაპ. ნაცვლად 584 მანეთი და 82 კაპ. გამოიმუშავა.

გზათა სახალხო კომისარიატიდან ქარხანაში მიღებულია აგრეთვე დეპეშა, რომ თბილისში მოემგზავრება მოწინავე ქარხნების სტახანოველთა ჯგუფი, რომელიც გაეცნობა ამხ. ზ. ს. ნადირაძის მუშაობის გამოცდილებას.

## „დიდი მოურავი გიორგი სააკაძე"

გამოვიდა და იყიდება ვასილ ბარნოვის ისტორიული რომანი „დიდი მოურავი გიორგი სააკაძე". წიგნი შესდგება სამი ნაწილისაგან: „კუფრი ლანდები", „ბჭესთან დიდებისა" და „გადატყდა ხმალი". წიგნს დართული აქვს ლექსიკონი და შეიცავს 448 გვერდს. წიგნი დასურათებულია პროფ. ი. შარლემანის მიერ. გარეკანი, ტიტული და შმუცტიტულები — ლ. გრიგოლიასი. გამოცემა სახელგამისა ალ. გვასალიას რედაქციით.

## მტს-ების მუშაკთა დაჯილდოება

წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ტრაქტორისტ ქალთა მომზადების ხაზით წარმოებული ენერგიული მუშაობისათვის საქართველოს სსრ მიწსახკომის ბრძანებით დაჯილდოებულია მტს-ების და ავტოსატრაქტორო სკოლების 27 მუშაკი. დაჯილდოებულთა შორის არიან: ვ. გუგუტიშვილი (გურჯაანის ავტოსატრაქტორო სკოლა), ა. კურატიშვილი (სურამის ავტოსატრაქტორო სკოლა), დ. გევორქიანი (ახალციხის მტს), ა. გაფრინდაშვილი (ლანჩხუთის მტს), დ. გიორგაძე (ზესტაფონის მტს) და სხვ.

## ესტრადის მსახიობთა კონკურსის შედეგები

დასრულდა ესტრადის მსახიობთა საკავშირო კონკურსი. საქართველოს ესტრადის თეატრის მიერ მიღებული ცნობებით, მესამე ტურის მონაწილეთაგან ჟიურიმ ლაურეატებად დაამტკიცა 22 ნომერი. ამათგან ქართველებია 5. სალაპარაკო ჟანრიდან პირველი ადგილი არავის არ მიესაჯა. მეორე ადგილი დაიკავა ვასო გოძიაშვილმა, მე-5 ადგილი — ოლ. დოლიძემ. საცეკვაო ჟანრიდან მეოთხე ადგილზე გამოვიდნენ გუნია და სუხიშვილი. ვოკალური ჟანრიდან მეოთხე ადგილზე გამოვიდა ქეთო ჯაფარიძე (კონკურსში მონაწილეობდა ლენინგრადიდან).

## დღეს თეატრებსა და კინოებში

**თეატრებში:** სახოპერა — ტალ. № 72 „დაისი"; რუსთაველის სახელობის — ტალ. № 70 „ნაპერწკლიდან"; მარჯანიშვილის სახელობის — „კოლმეურნის ქორწინება".

**კინოებში:** რუსთაველის სახ. — „სამშობლო"; ოქტომბერი — „სამშობლო"; 26 კომისრის სახ. — „სამშობლო"; დამკვრელი — „მასწავლებელი"; სპარტაკი — „მასწავლებელი"; რ. ლუქსემბურგის სახ. — „მასწავლებელი"; კომკავშირელი — „საბჭოთა სამშობლოსათვის"; კომინტერნი — „მინინი და პოჟარსკი".

პასუხისმგებელი რედაქტორი **ვ. ხატიაშვილი**


**ქუთაისის სახელმწიფო თეატრი**

1939-40 წ.წ. სეზონი

21, 22, 23 და 24 დეკემბერს

პრემიერა — წარმოდგენა № 72-75

შალვა დადიანი (რესპ. სახ. არტ. ორდენოსანი)

**ნაპერწკლიდან**

4 მოქმ. 17 სურ.

მონაწილეობს მთელი დასი

დადგმა: დ. ანთაძისა (რესპ. დამს. არტისტი) და გ. სულაქაურისა, რეჟისორი ს. ოყრეშიძე, მხატვარი ს. ნადარეიშვილი, კომპოზიტორი თ. ვახვახიშვილი, დირიჟორი გ. მერჯანიშვილი, სიმღერების ხელმძღვანელი ბ. ლოლობერიძე. რეჟ. თანაშემწენი გ. ჟღენტი, მ. შალამბერიძე, დ. ცხადაძე.

მორიგი პრემიერა გ. ნახუცრიშვილის „კოჯლე" დირექცია.

4260


რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3-06-88, განყოფილებებისა: პარტიულის—3-57-61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოს—3-73-40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3-80-83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3-80-84, წერილების—3-73-24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ბ—612